

964  
1938

საქართველოს  
დემოკრატიული  
პარტიის  
განცხადები

# ლავაშვილი

საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის  
პროცესული ორგანო

L'Organe de la démocratie nationale géorgienne „LA PATRIE“

მაისი - ივნისი

Mai - Juin

№ 25-26

თ ი ნ ა ა რ ს ი :

- |   |                     |
|---|---------------------|
| 1. 26 მაისი                               | აღ. ასათიანი        |
| 2. „ოც და ექვს მაის“-ს (ლექსი)            | ბროლისქედელი        |
| 3. პრომეთეელთა მოძრაობა                   | ელ. პატარიძე        |
| 4. ისტორიის სენტენციები                   | რ. ინგილო           |
| 5. პრომეთეელთა პრობლემა                   | ვ. ბონჩევსკი        |
| 6. ეკონომიკური პრობლემის ირგვლივ          | ნ. სიდამონ-ერისთავი |
| 7. † ვასილ წერეთელი                       | ელ. პატარიძე        |
| 8. ქართველთა მთლიანობისათვის              | ბ. სამხარაძე        |
| 9. პასუხი ბბ. ემუხვარსა და ჭიაბრიშვილს    | გრ. აბულაძე         |
| 10. აქა და ბამატისა საქმენი საგმირონი     | **                  |
| 11. ეროვნული დღესასწაული                  |                     |
| 12. ქართ. კულტ. მუშაობა წევაპ. ინსტიტუტში | რ. ინგილო           |
| 13. ლევილის სასაფლაოზე                    | **                  |
| 14. ელ. პატარიძის მოხსენება               | **                  |
| 15. სხვა და სხვა                          | **                  |

პარიზი — Paris  
1938

# სამართლებრივი გარემონტი

საქართველოს ეროვნული . დემოკრატიული პარტიის  
პარიტეტული ორგანო

L'Organe de la démocratie nationale géorgienne „LA PATRIE“

მაისი - ივნისი 1938 წ. № 25-26

MAI - JUIN 1938



ქართველი ერის სახელმწიფო ბრივი ცხოვრების დამო-  
უკიდებლობის აღდგენიდან ოცი წლის თავზე, მუხლო-  
მოყრილნი, პატრიოტულის წმიდა გრძნობით ვიგონებთ  
ჩვენი სამშობლოსა და ერის თავისუფლებისათვის თავდა-  
დებულთ, რომელთა წმიდა სულები ლალათ დანავარდო-  
ბენ ჩვენი სამშობლოს მოქაშვაშე ცის კალთებ ქვეშ.

სუკუნო განსენება მათ.

მოუწოდებთ ჩვენს თანამემამულესთ იმავე ეროვნული  
მთლიანობის, ისტორიულად ნაცადი გზით გაასკეცებულის  
სულითა და ენერგიით იმუშაონ და იბრძოლონ, ერთხელ  
კიდევ დამარტებული „ოც და ექვსი მაისი“-ს საბოლოოდ  
გამარჯვებისა და მარადისობისათვის.

დიდება და ძლევამოსილება მარადიულ ქართველ ერს  
და საქართველოს.

2 6 8 1 0 8

1918 — 1938

ჩვენს ეროვნულს დღესასწაულს ოცი წელი შეუსრულდა.

ეროვნული ცხოვრების საზომით ასეთი მანძილი ფრიად მცირეა. მაგრამ ხალხთა განვითარების მსვლელობა ხშირად ნაკლებად უწევს ანგარიშს ადამიანის მიერ გამოგონილ დროთა მანძილს. ზოგჯერ ერთი წლის მანძილზე ამოიღებს ის თავის ცხოვრების სილრმიდან იმდენ ჭირვარამს, ავსა და კარგს, სამწუხაროსა და სასიხარულოს, რომ მთელი საუკუნეც ვერ აუთავდება მის გარიგებას, გადახარშვისა და მონელებას. 26 მაისის ხანა თვით საქართველოს ყოვლის მხილველ, ყოვლის გამძლე და ყოვლის ამტან მატიანესთვისაც წრმოადგენს დიდ ეპოქას, აღვისილს მდიდარი შინაარსით და ძლიერი განცდებით.

26 მაისი მოევლინა ქართველ ერს ვით სასწაულის დღე, და კეშმარიტად სასწაული იყო ასი წლის მონაბის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა. 26 მაისი იყო სასიხარულო, სხივოსანი, ამაღლებული, ეროვნული თავისუფლების, ეროვნული ღირსების, ეროვნული თაგმოყარების აღდგენისა და ამაღლების სიმბოლო. და მთელი ერი მიეწოდ მას ერთობლივად, და ეთავგანა მას, ვინაიდან ეს დღე გაუთენდა მას, ვით მისი ეროვნული ყოფის, ეროვნული სახიერების, სწრაფვის და იმედის აღდგენისა და სიცოცხლის მახარობელი. 26 მაისი გახდა სასწაულის დღედ, წყაროდ და დასაბამად საქართველოს კვლავ აღდგენისა და აღორძინების.

მაგრამ რა არის იგი ნათელი, რასაც არ ახლავს ბნელია! 26 მაისის ბრწყინვალებასაც თან დაბავება ასეთი ბნელი მხარეები და სამი წლის მანძილზე მან ვერ შესძლო მისი საქებით დაძლევა, გაფანტვა და დამარცხება. ეს იყო საქართველოზე რუსეთის საუკუნოებრივი ბატონბის მძიმე მემკვიდრეობა, მუდმივ რომ აუძლურებდა და ასუსტებდა საქართველოს არსებობის ყველა სულიერსა და სხეულებრივ ძალებს, მუდმივ რომ პბოკვავდა და პბორეავდა მისი ეროვნული განვითარების მსვლელობას, მუდმივ რომ უნერგავდა ეროვნული ცხოვრების დაულისა და დანგრევის თესლებს. 26 მაისის საქართველო შეხვდა ასეთი მემკვიდრეობით დასუსტებული, დაბაზუნებული. მან ვერ შესძლო თავისი ძალების ჯეროვნად დარჩმვა, გაერთიანება და მისი აცხოველება გაზრდა და გაფოლადება 26 მაისის მიერ მონატან ახალი სულით ახალი გრძნობით და ახალი აღტკინებით. საჭირო იყო დრო, საჭირო იყო მანძილი, რომ 26 მაისის ჯადოსნურ ძალას განეკურნა საუკუნის მანძილზე ნაწამები ეროვნული სული, აღედგინა მისი ცხოვრების სალი მაჯისცემა და სისხლის ბრუნვა. მაგრამ 26 მაისის საქართველოს მარტო ეს შინაური და საკუთარი სიძნელენი არ უბორეავდნენ მსვლელო.

ბის გზებს. მძიმე იყო მისი გარემოცულობა კავკასიაში, მძიმე იყო მისი მდგომარეობა სამხრეთის მიმართ, სადაც დიდი ომის შემდეგ აშლილი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო დამტკრალი და გარკვეულ კალაპოტში ჩამდგარი. 26 მასის საქართველოს მრავალი სახიფათო მოვლენა ესახებოდა სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთიდან მის კედლებს გამუდმებით ასკდებოდა რუსეთის რევოლუციების და რუსეთის იმპერიალიზმის მრისხანე ტალღები.

სამი წელიწადი გაუძლო 26 მაისის საქართველომ ამ საშინელ გარემოცულობას და ის დამარცხდა. რესეტმა კვლავ დამსხვრია საქართველოს სახელმწიფო და მის დედა-ქალაქში 26 მაისის ნაცვლად კვლავ მოსკოვის ტახტი აღმართა.

ასე გაპტრა 26 მაისის ის ბრწყინვალება, სასიხარულო სხივებს რომ ათრუქვევდა დედა-ქალაქიდან მთელს საქართველოს კიდით - კიდემდე.

მაგრამ არ ჩატენალა მისი ცხოველმყოფელი ძალა. ის განაშილდა უამრავ სხივებად და გაიფანტა ჩევნი სამშობლოს მთელს სიცრუტზე. მისი შუქები მიწვდა თვითეულ ქართველს, შეიქრა და დაბინავდა მის გულში. 26 მაისის ეს შუქები ამიტრიდან უხსოავის ძალით ათბობს ყველი ქართველის გულისიტქას, აზრს და სწორაფვას. ის გზას უნათებს მამულიშვილს სადაც უნდა იყოს იგი, მშობლიურ მიწაზე თუ შორს, უცხოეთში. ის მიუძღვება მას საერთო ბრძოლის ასპარეზზე, საქართველოს კელავ აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლათა ველზე, ის აფრთხებს და აკაშირებს წინეთ დაქსაჭულ ეროვნულ ძალებს და მათ საერთო ეროვნულ დროშის ქვეშ აყენებს.

26 მაისი იშვა, კით სამხიარულო დღესასწაული, ბრწყინვალე და მხიარულ ფერადებით მოელვარე. საქართველოს მწარე ბედმა ის თაღ-  
ნით შემოსა, და საომარ საკუროველით აღჭურვა. საზეიმო 26 მაისი და-  
სრულდა, იშვა 26 მაისი ბრძოლის, თავდადების. მშვიდობიანი აღლუ-  
მების 26 მაისი შესცვალა 26 მაისმა სვანეთის ამზოხების, 26 მაისმა  
თშან-ხეგისტრების აჯანყების, 26 მაისმა აჯანისტოს სისხლიან ბრძოლების

26 მაისი დღეს მებრძოლი ერის დროშაა, ის აბჯარ სხმული ეროვნული ნებისყოფაა და როდესაც ამ დროშის ქვეშ გაერთიანებული ერი კვლავ დაამსხვრებს მონობის ბორკილებს და დაბრუნებს დაკარგულ ეროვნულ მეობას; მთელს ერში გაბეჭული 26 მაისის სხივები კვლავ თავს მოიყრინ და ერთ მნათობად ქცეული კვლავ ამობრწყინდებიან საქართველოს დედა-ქალაზე.

და ეს იქნება 26 მაისი დამწიფებული, დავაუკებული, სიხარულთან ერთად სიმწარესაც გაცნობილი, მძიმე ბრძოლათა ცეკლში გავლილი, და მით საქართველოს წარსულთან შეზრდილი და შეერთებულო.

და კეშმარიტად ეს იქნება ნამდვილი ეროვნული დღესასწაული, საქართველოს ნიადაგზედ მტკიცედ დაფუძნებული, მტკიცედ აგებული და სამარათისოდ ურჩყოლა.

ასათიანი

### „ოც და მძვს მაის“-ს

ორ საუკუნის მიჯნაზე ცა ერთხელ კიდევ გაიხსნა,  
და საქართველოს მიწაზე მონობის ხუნდი დაიმსხერა.

ილიას გულის ნადები ღვთიურის ძალით აიხსნა,  
და ღიდებისა სიმღერა კიდოთ - კიდემდის გაისმა.

ზეცით გარდმოდი ღიდებით შენ „ოც და ექვსო მაისო“!

და საქართველო აღმდგარი შენი სხივებით აღიერო.

„თეთრი გიორგი“ გშენოდა შენ ჩვენო ძველო ტფილისო,  
სამფერ დროშებით მოირთ შენც ლამაზო ქუთაისო.

ცაზედ გამოჩნდენ მეფენი: დავით, სოლომონ, თამარი,  
ერეკლეს ხმალზედ იფიცებს აღმდგარ ქართველთა ლაშქარი.

ღიმიტრ, აკაკი, ილია, ფშაველი ვაჟაც აქ არი,

და ღიდებასა გალობენ, რომ აუსრულდათ სიზმარი.

ჩვენი ქვეყანა ყვაოდა და თან ბუნებაც დარობდა,  
მკვდრეთით აღმდგარი ქართველი თავისუფლებით ხარობდა,  
მამაპაპათა საფლავნი სამფერ ვარდებით ყვაოდა,

და მათი წმიდა სულები „მრავალ უმიერს“ ჰგალობდა.

დიდხანს ვერ დაუსტყბით მშვენებით ჩვენ შენი სიღიადისა,  
კოხით დასეტყვა ვიზილეთ შენ — სამაისო ვარდისა.

ვინც ჩვეულია მონობას, უღელს, კეხსა და აღვირსა,  
ღმერთმა დაგვსაჯა, მონობა ჩვენ კიდევ მისი გვალირსა.

ჩრდილოდან ქარი მოვარდა, შენი ლამპარი ჩაგვიქრო,  
ქვეყანა მგლებით აისო, მშვიდი სიცოცხლე დავვითტოხო,  
სუსიან ქარმა გავვიყნა, ლამის გულები გაგვიძმო,  
ველურთა ჯარი დაგვესხა, ეგონა უკვე დაგვიძყრო!

იუდას ხელით ჯვარსცმულო შენ „ოც და ექვსო მაისო“!

ქართველი ერის მიზანო, მნათობო ბნელი ლამისო,  
ბრძოლის დროშა ხარ დიადი, ანთები ბრძოლის ალისო,  
შენთვის მებრძოლთა ლაშქარით ცა და ქვეყანა აღივსო.

ქართველები ვართ, გვჩვევია მტერზედ ამოყრა ჯაერისო,  
ციხის შიგნითაც დახვედრა მტრად შემოსული ჯარისო.  
მოგვეცი ბრძოლის ნიშანი შენ „ოც და ექვსო მაისო“,  
მამა - დავითზედ დაგიდგათ შენ ტახტი სამარადისო.

ბრძოლისქედელი

## პროგეთები გოძრაობა

რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები ამოუწურავი ენერგიით იბრძვიან საკუთარი ეროვნული სახელმწიფოთა ელდგენისა და დაფუძნებისათვის. ამ ერთა შორის მრავალი ისეთი, რომლის ეროვნული სახელმწიფოებრივი არსებობა წინ უსწრობდა რუსეთისას, და რომლის ეროვნული კულტურა და ცივილიზაცია ბევრად უფრო მაღლა სდგას რუსეთისაზედ. ასეთი ერების ეროვნული ფორმაცია სრულიად დამთავრებულია, მათი ეროვნული სული სრულიად გამოკვეთილი და მომწიფებული, მათი ეროვნული მიზანი და მისწრაფება მკაფიოდ გარკვეულია და დასახული. ამ მიზნისაკენ მიმავალი გამარჯვების გზებიც გამოცნობილი და გარკვეულია, ამ ბრძოლის გზებზედ სცლის მეთოდიც შესწავლილი და შემოწმებული ხანგრძლივი ისტორიის საკუთარს თუ სხვათა მაგალითებზეც.

ასეთი ერების ბრძოლა თავისუფლების აღდგენისათვის გარკვეულსა და უდაოდ მიჩნეულს საერთაშორისო უფლებრიელსა და ზნეობრიელსაფეხულებს ეყრდნობა, მათ ანგარიშგასაწევი სულიერი და გონიერივი, მატერიალური და ფიზიკური ძალაც შესწევთ თავიანთი დიადი ეროვნული მიზნების საბოლოოდ მისაღწევად. ამ მიმართულებით მიზანდულს ძალას ვერ შეაჩერებს დამპყრობელი რუსეთი ვერც ტერორით და ვერც ვითომდა „ეროვნული უფლების“ ცნობით და მათთვის „ავტონომიების“ მინიჭებით. წითელმა რუსეთმა ცბიერობისა და დემაგოგის მიზნით ამ ერებს გარდა, მრავალ სხვა ტომებსაც ეროვნებათა სახელი მიანიჭა და ეროვნული ავტონომიებიც დაურიგა. ამით რუსეთს უნდოდა მათ მიერ დაპყრობილ ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოთა მქონე ერების მნიშვნელობისა და წონის შემცირება და მათი მოძრაობის დასუსტებაც. რუსეთი ანგარიშში მოსტყუდვა და საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია: მრავალ ტომთა ეროვნული ფორმაცია დააჩქარა, მათ ეროვნული მისწრაფებანი აღუძრა და ეს პატარა ნაკადებიც ეროვნულ მოძრაობისა შეუერთა იმ დიდის მდინარეს, რომლის ძლევამოსილი ტალღები გადალახავს მოსკოვის ერთა მონაბის ჯებირებს და აღადგენს ასმოდენიმე ათეული ერის სახელმწიფოებრივ არსებობას.

ეროვნული მოძრაობის დიდ მდინარეზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების საერთო ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია ამ ბრძოლის სრულყოფას და რაც მთავარია ეს ბრძოლის რეალური და პრაქტიკული ხასიათის ერთობაა და სანამ ეს დიდი ნაკლი არ შეიცემა, და კველა ამ ერების რეალური ძალების შეთანხმება-ერთობა არ დამყრდება და მათი ეროვნებათა მოძრაობის ერთ კალაპოტში მოქცევა არ მოხერხდება, მანამ ცალ-ცალკე ეროვნებათა ბრძოლა შედეგს ვერ მიაღწიებს. კველა ამ ერთის მიზნით მებრძოლი ერების ძალთა გაე-

რთიანება და ერთის გზით მიმართეა, მეტს ძალას მისცემს ამ მოძრაობას და დასახულ მიზანსაც უფრო ადვილათ მიგვალწევინებს. აი სწორედ ეს არის დაიშნულება ეროვნებათა იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც პრომეთეს ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. ამ მოძრაობის მეთაურებმა უახლოეს ამოცანად უნდა დაისახონ, რუსეთის ფარგლებში მებრძოლი ერგბის ორგანიული და რეალური კავშირი და გაერთიანება.

პრომეთეელთა მოძრაობა არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი მცირე ერთა მოძრაობა მსოფლიო მაშტაბით. პრომეთეელთა მოძრაობა არის რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების და იმ ერებისაც, რომლებმაც დროებით თავი დააწინიერ რუსეთის ბატონობისაგან, მაგრამ რომელთა თავისუფალს არსებობას კვლავ დასაპყრობად უდარჯებს რუსეთის იმპერიალიზმი. პრომეთეს ეროვნული მოძრაობა გარკვეულად მხოლოდ რუსულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობაა და ამსა და მხედვით ეს მოძრაობა გარკვეულს გეოგრაფიულს ფარგლებში უნდა მოთავსდეს. ის არ უნდა გადასცდეს ამ გეოგრაფიულ საზღვრებს და არ უნდა იქცეს მსოფლიოში კველა დაჩაგრულ ერთა მოძრაობად. ასეთი უსაზღვრო გაქანება მას დააცილებდა მის რეალურ და განსახორციელებლად შესაძლებელ მიზანს, გადაისცრიდა ამ მოძრაობას განუხორციელებელი ფანტაზიის სფეროში და დაუკარგავდა მას ნამდვილ მის მნიშვნელობას და წინას.

მსოფლიოში უმრავის დაჩაგრული ერები და ტომები. მათი კავშირის შექმნა და მათი მთლიანად დაპირისპირება დამპყრობელთადმი, ზოგიერთ პოლიტიკურ მოაზროვნეს მიაჩნია ეროვნული თავისუფლების იდეის გამარჯვების საწინდარად და გარანტიად. ეს დიდი კეთილი სურვილია, მაგრამ ისეთი დიდი ფანტაზია და ოცნება, რომლის რეალობად ქვევა წარმოუდგენელია დამჯდარი გონებისათვის: რეალურ ინტერესთა წინააღმდეგობა, თუმცა ნაკლების მაშტაბით, მაგრამ ისევე არსებობს პატარა ერთა შორის, როგორც დიდ ერთა შორის, რაც ხელს შეუშლის მათს შეთანხმებას; გარდა ამისა მსოფლიოში მობრნადრე ყველა მცირე ერები ხომ არ არიან დამოუკიებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის საჭირო ცივილიზაციისა და კულტურის სათანადო დონეზედ. ზოგს მათგანს ჯერ კიდევ ესაკიროება რომელიმე კულტურულ დიდი ერის ხელმძღვანელობა და მთარეველობა. გარდა ამისა პატარა ერთა კავშირის ბუნებრივად მოჰყვება დიდ მპყრობელ ერთა, ცხადია, უფრო ძლიერი კავშირი პატარა ერების ხარჯზედ მათი მორიგების ნიადაგზედ. ყველა ეს უნდა გაითვალისწინონ პრომეთეელთა მოძრაობის ხელმძღვანელებმა, რომ ეროვნებათა თავისუფლების იდეის თეორიულმა მხარემ არ გაიყოლიოს თ ცნების მხარესაკენ. კომეორებით, პრომეთეელთა მოძრაობა, რუსეთის ფარგლებში უნდა გაიშალოს, მხოლოდ რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გვპირდება მრავალნაირი დახმარება დიდი სახელმწიფოებისა. რეალურის თვალსაზრისით სჯობს მათი მეგობრობა და თანამშრომლობა კედებოთ, ვინემ უკუდონ ხარის როლში გამოვიდეთ და მსოფლიოში გაფანტული სხვა და სხვა

დონეზედ მდგარი დაჩაგრული ერების განთავისუფლების ინიციატივა ავილოთ და ამით ეს დიდი სახელმწიფოები მტრად გავიხადოთ.

პრომეთელთა მოძრაობა უპირველეს ყოვლისა რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობილი ერების მოძრაობაა და მისი მთავარი მუშაობაც ამ ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. ამ ნიადაგზედ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ ერების მებრძოლ ძალებმა უნდა გამონახონ საერთო ენა და მოქმედების საერთო ხაზი, როგორც გამანთავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, ისე მომავალი მათი სახელმწიფოებრივი თავისუფალი არსებობის პერიოდისათვის; მათ შორის არსებული წვრილმან ინტერესთა წინააღმდეგობანი მათ მთავარს საარსებო ინტერესებს უნდა დაუქვემდებარონ.

პრომეთელთა მოძრაობა, რუსეთის მატაგალიძებული და გაუმაძლარი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული, არის იმავე დროს რეალური და თავდაცვითი მოძრაობა, რუსეთის მონობიდან ახლად განთავისუფლებული იმ ეროვნული სახელმწიფოებისა, რომელნიც რუსეთის საზღვრებზედ არსებობენ უშუალოდ და რომელთა დაპყრობა და რუსეთის იმპერიის საზღვრებზი ჩაჭედვა შეადგენდა პეტრე დიდის, ეპატერინე დიდის და მთელ რომანოვთა დინასტიის იმპერიალისტურ პოლიტიკის მისწრაფებას, და რომელიც კვლავ მეტის სიცხოველით ამოძრავებს დღევანდელ რუსეთის ხელმძღვანელთ. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიან რუსეთის ამ სამარადისა იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად. ამ ახალ სახელმწიფოებს დიდი სიფხოზლე და თავდაცვითი ძალა მზადება მართებთ და ურთიერთი თავდაცვითი კავშირი, რომ იმ ისტორიულ მომენტს მზად დახვდნენ და რუსეთის პირდალებულ იმპერიალიზმს კვლავ პირში არ ჩაუვარდნენ. ის რაც კავკასიის ერებს თავს დაატყდათ ცალ-ცალკე რუსეთის მიერ, შეიძლება ამ ერებსაც მოევლინოთ ახლო მომავალში. ფინლანდია, ბალტიის პატარა სხელმწიფოები: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, და თვით დიდი, განახლებული და გაერთიანებული პოლონეთიც კი მუდამ რუსული იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე სდგანან. ეს აღდგენილი სახელმწიფოები თავიანთი გეოგრაფიულ მდგომარეობითაც წინ ელობებიან და რუსეთის იმპერიალიზმის წინსვლას გზებს უჭრიან ევროპის ქვეყნებიან კენ. რუსეთს არ შეუძლია ამისადმი შერიცება და ამ ქვეყნებისაგან საბოლოოდ ხელის აღება.

ცხადია ეს სახელმწიფონიც თავიანთი მდგომარეობით ჩაყენებული არიან რუსეთის იმპერიალიზმისადმი დაპირისპირებულ პრომეთელთა ფრინვებში. მათი თავდაცვითი მიზნები და საარსებო ინტერესები მოითხოვნ, დღეს არსებული რუსეთის იმპერიის შემადგენელ ეროვნულ ერთეულებად დაშლა-დანაწილებას და ნამდვილი რუსეთის მის ბუნებრივ-ეროვნულ საზღვრებში ჩაყენებას. რუსეთის მოსაზღვრე აქ დასახელებულ ეროვნულ სახელმწიფოთა და რუსეთის მიერ ჯერ კა

დევ დაპყრობილ ერთა მიზნის იგივეობა ბუნებრივად ჰქმნის მათ შორის თანხმობასა და სოლიდარობას და ბუნებრივად აუნიებს მათ ერთ მთლიან ანტირუსულ ფრონტში.

პრომეთეს ამ გაშლილ ფრონტის ზურგში იმყოფებიან აღმოსავლეთ ევროპის ის სახელმწიფოები, ჩეხო-სლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი და სხვანი, რომელთა მოსახლეობის ნაწილი სლავიანებისგან შესდევებიან, და ამ მიზეზით მუდა იყენებ და დღესაც არიან რუსეთის იმპერიალიზმის მოქმედების ასპარეზად. უპირველეს ყოვლისა ბეჭარაბის საკითხის დავიწყება არ შეუძლიან რუსეთის იმპერიალიზმს,

ამ სახელმწიფოთა მოყალეობა პრომეთელთა მოძრაობისადმი არ არის მხოლოდ მორალური და ზნეობრივი ხასიათის, არამედ უფრო მათი საარსებო რეალური ინტერესებისაგან გამომდინარე. პრომეთელთა მოძრაობისადმი დახმარება ხელს შეუწყობს რუსეთის სახით მათგამი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აშორებას. ამ კეშმარიტების დროზედ შეგნება სავალდებულოც არის ამ სახელმწიფოებისათვის.

აზის ფარგლებშიდაც არიან დღევანდელი რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე სახელმწიფოები, რომელთა საპარაგო მიზნებს უპასუხებს და მეტად უშუალოდაც პრომეთელთა მოძრაობა. ჩრდილოეთიდან მოწოლილი რუსეთის იმპერიის ტალღები ბევრჯერ გადასცილებია კავკასიის საზღვრებს და საფრთხეში ჩაუგდია ოსმალეთისა და სპარსეთის სახელმწიფოებიც. სტამბოლისაკენ ღრმულვა და აქ შავ ზღვიდან გამოსვალი კარგების ჩაეკრა იყო, არის და მუდმივ დარჩება რუსული იმპერიალიზმის ზრუნვის საგნად. ოსმალეთ-რუსეთის შორის დღევანდელი მეგობრული ურთიერთობა მეტად ხანმკლეა, არაბუნებრივი და არაგულწრფელი და სრულიად არ უპასუხებს ოსმალეთის საბოლოო რეალურ ინტერესებს.

ოსმალეთისა და სპარსეთის სახელმწიფოთა ინტერესები მოითხოვს რუსეთის გასვლას ამიერ-კავკასიიდან. მათი რეალური და მუდმივი ინტერესია ხელი შეუწყობ პრომეთელთა ეროვნულ მოძრაობას, რუსეთის იმპერიის დაშლას და ამიერ-იმიერ კავკასიის ერების რუსეთისაგან განთავისუფლებას რომ ემსახურება. ამის შეგნებლობა არ ეპატიებათ არც სპარსელებსა და არც ოსმალებს.

დასასრულ, ევროპის დიდ სახელმწიფოთა: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ინგლისის ინტერესები ზოგის მეტად და ზოგის ნაკლებ, ეთანხმებიან პრომეთელთა დიდს მოძრაობას. პეტრე დიდის ის ისტორიული ანდერძი, რომლის შესახებ ჩვენი უურნალის წინა ნომერში გვერდა საუბარი, რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მუდამ აქტიური ზრუნვის საგანია. ამ ანდერძის განხორციელების ცდების მრავალი ცოცხალი მაგალითები არსებობენ საბჭოთა რუსეთის ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში მტრული ჩარევით, თუ მათ კოლონიალურ ქვეყნებში მათი საწინააღმდეგო მოქმედებით. ამ დანახული შიშველი სინამდვილის არ შეგნება და საჭირო ზომების დროზედ მიუღებლობა მომაკვდინებელი დანაშაულია და ასეთი ისტორიული დანა-

შაულის ჩამდენს არ შეიძლება დამსახურებული ისტორიული სასჯელი თავიდან ასცდეს. ევროპის ამ დიდ სახელმწიფოების ინტერესია ხელი შეუწყონ იმ აზიური იმპერიის დაშლას, მრავალი ათეული აზიური და ევროპიული კულტურული თავისუფალი ერები რომ დაიპყრო და მრავალ ევროპიელ ერებს და სახელმწიფოებს კიდევ ემუქრებინ და ევროპის დიდ სახელმწიფოებსა და ევროპის ცივილიზაციასა და კულტურას რომ განადგურებას უშავდებენ.

ამ დიდი სახელმწიფოების და მათთან ერთად აზის უპირველესი იმპერიის იაპონიის მოვალეობაა ხელი შეუწყონ რუსეთის მიერ დაპყრობილ მცირე ერთა მიერ წამოწყებულს პრომეთელთა მოძრაობას, რომლის ერთად ერთი მიზანი რუსეთის იმპერიის დანგრევა და მის ნანგრევებზედ თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოთა აღდგენა - დაფუძნებაა.

გეოგრაფიულად განსაზღვრული პრომეთეს მოძრაობა რეალურს ნიადაგზედ უნდა დასდგეს. ორი საუკუნე მოუნდა იმ უდავო ჰეშმარიტების მტკიცებას, რომ ყოველ ერს აქვს თვითგამორკვევისა და თვითარსებობის უფლება. ეს უფლება დღეს უკვე უნივერსალურად ცნობილია და უდაო ყველასათვის ვისაც ამისი ცნობა უნდოდა. ამის კვლავ ხელახლად ღევვა და მტკიცება, მას ვეღარაფერს შემატებს. პრომეთეელთა მოძრაობამ ამას ნაკლები ღრო და ენერგია უნდა მოანდომოს. პრომეთეს მოძრაობის მთელი ფრო და შესაძლებლობა უნდა მოხმარდეს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისათვის რეალური ბრძოლის პრაქტიკულს ამოცანებს.

ამგვარად გარკვეულს გეოგრაფიულსა და იდეურ ნიადაგზედ დაფუძნებული და ერთის პრაქტიკული მიზნით მიმართული პრომეთეელთა ეროვნული მოძრაობა გახდება იმ დიდ ძალათ, რომელიც დანგრევს რუსეთის იმპერიას, ამორალურ ფიზიკურ ძალაზედ დაფუძნებულს და მის ნანგრევებზედ აღადგენს და ზეობრივ-სულიერსა და მარტერიალურ ძალაზედ დააფუძნებს მრავალი ათეული ერის სახელმწიფოებრივ არსებობას.

ელ. პატარიძე



## ისტორიის სენტენციები

„ანტლუსის“ შემსწრე ერთი ინგლისელი უურნალისტი სწერდა, რომ შთაბეჭდილება იმ უზომო ენტუზიაზმისა, რომელსაც მოეცვა ვენა და ასევე მთელი ავსტრია, ისეთი იყო, თოთქოს გერმანიას კი არ მიერთებინოს ეს ქვეყანა, არამედ ამ უკანასკნელს მოქმედინოს ეს ამბავიო.

ხუმრობის კილოთი კორესპონდენტს, სხანს მანც იმის აღნიშვნა უნდოდა, რომ აღტაცება ხალხისა არ ყოფილა შეფარდებული მოვლენის შინაარსთან... მართალია ეს? ნუ გამოვუდგებით ომის წინა ვითა-

რებას, როცა ავსტრია - უნგრეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ მილი-ტარული შესაძლებლობანი არამც თუ არა საჭიროებდენ პროტექტორატსა, თუ სხვა ჯურის ქომავობას, პირიქით, ჰაბსბურგთა მონარქია თავათ ახდენდა ექსპანსიისა და საზოგადოთ პყრობის აქტებს. მაგრამ ეს იყო მამდის: ის რაც დარჩა ავსტრიის სახით ვერსალის ზევის შემდგომ, წარმოადგენდა ყოველის მხრით საცოდავას, რომ არ ითქვას, პირდაპირ უნუგუშო სანახაობას! მისი სახელმწიფოებრი არსებობის გაგრძობა აშკარად ხდებოდა გაძვალტყავებულ მოსახლეობის სურვილისა და ინტერესის წინააღმდეგ. ვისაც ომისა და მის მომდევნო სხვა კათაკლიზმების შემდგომ ვენაში უცხოვრია, შეეძლო საკუთარი თვალით ენახა მთელი ის დაქვეითება და პროსტრაცია, რაშიც ჩაყურყუმელავებული იყო „აღმოსავლური რაიხი“ სოფიათა და ქალაქათ...

ვერსალის ზევს ერთი დიდი ნაკლი სჭირდა: მას აკლდა დინჯი საპერსპექტივო გამონაგარიშება და აი, სწორედ მამაში აღმოჩინატა მისი თანდაყოლილი სისუსტე. ვერსალის ერთ ერთ ასეთ აფიცებულ აქტათ უნდა ჩაითვალოს ავსტრიის სტატუტის შექმნა: ვერსალმა ავსტრიელებს თავზე მოახვია დამოუკიდებლობა (ისიც უსათუოდ რესპუბლიკანური), თანაც დაუტოვა იმგვარი ატრიბუტები, რომ ავსტრია თავიდანვე განწირული გამოდგა, ვითარცა თვითმართველი სახელმწიფოებრივი სხეული. ავსტრიის დამოუკიდებელ რესპუბლიკამ ოცი წელიწადი გაპძლო, გარნა რა სახითა და რა ყოფით?! ეს იყო მხოლოდ-ლა გახანგრძლივებული აგონია სულთონბრძავისა, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ნარკოტს უწვეთავედნენ ისინი, ვის ანგარიშშიაც შედიოდა ავსტრიის განხელებული მდგომარეობის შენარჩუნება მანც დამანც... ამზე ბაასი შორს წავგიყვანდა. იმის თქმას მხოლოდ საჭირო, რომ ავსტრიის თვითმყოფობა კიდევ შეიძლებოდა გაგრძობილიყო ერთი კომბინაციის საშუალებით, რომელიც იმავ დროს უნგრეთის გვირგვინის მიბრუნებულ ჯვარის გამოსწორებასაც იქმდა, ხოლო ამგვარ მოვლენის შესაძლებლობას პირველიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ სხვა და სხვა მხრიდან და უფრო სასტიკათ — ეხლა ასე სახტათ დაშთენილი — მცირე ანტარტია!

ასეთს ვითარებაში ჩავარდნილ ავსტრიას, ბუნებრივია, არ ჰქონდა დიდი იმედი თავის დამოუკიდებლობის ხანგრძლივად შენარჩუნებისა. ამის გამო, ამ ოცი წლის მანძილზე არ დარჩენილა ავსტრიის არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელსაც თავის პროგრამაში არ დაყეყნებინოს გერმანიასთან შეერთების საკითხი. თავიდან ასეთი გეგმა ავსტრიის სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ დაისახა. შემდეგ მან უკან დაიხია, როდესაც გერმანიაში ვეიმარის კალიცია წაიქცა და იქ ნაციონალ-სოციალიზმი გამეფდა. ასეთი ზრახვები ფრიად ფეხებადგმული იყო ავსტრიის კათოლიკურ წრეებშიაც, რომლის მეთაური და მრავალ წელს სახელმწიფოს კანცლერი მონსინორი ზეიპელი ევროპის სახელმწიფოებს და ერთა ლიგას მემორანდუმს უგზვნიდა — ავსტრია თქვენი შექმნილია და თქვენ უნდა იზრუნოთ

მის ეკონომიკურ - ფინანსიურ საქმეებზე, რადგან მას არ მოეპოვება სახელმწიფო მარტინის არსებობისათვის საჭირო ეკონომიკური ბაზაო. ავსტრია უძღვესად კათოლიკური ქვეყანაა და ასეთი განწყობილება მისი კათოლიკური წრეებისა შეანელა გერმანიისა და პაპის ტახტის შორის ჩამოვარდნილმა კონფლიქტმა. მაგრამ ასეთი გარდამავალი განწყობილებანი აცხტილი პოლიტიკური წრეებისა, რასაც ვირველია, ვერ სცვლიდა ფართო მოსახლეობის აზრსა და დაფასებას თავის სახელმწიფო მარტინის არსებობის უნუგეშონ მდგომარეობის შესახებ.

ასე რომ „ანშლუსი“ ომის შემდგომი დროის აცხტრიის ბედის წიგნში ჩაწერილი იყო, კითხვა მხოლოდ ვადის გამოზომას ეხებოდა, და თუ ამ ქვეყნის გადაქცევა მესამე რაიხის განუყრელ წევრად მოხდა უფრო ადრე, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, ამაში ბრალი (ან თუ გნებავთ დამსახურება) უდევს დოლფუსისა და კიდევ მეტად შუშნინგის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ცალმხრივ მიმართულებას. შუშნინგის პოლიტიკაში ისე გაამწვავა ახალ გერმანიასთან დამოკიდებულება, რომ წინა წლებში ასე თუ ისე სკეპტიკურად განწყობილი მართლმორწმუნე კათოლიკური წრეებიც კი ანშლუსის მომხრეებად აქცია: ათი აპრილის პლებისციტი ამ გარდაქმნის პოლიტიკური შემოწმება არის!

„ანშლუსის“ მნიშვნელობა ევროპის აწინდელ სიტუაციაში გაცილებით ჰშორდება გერმანიის შინაცხოვერების სფეროს, თუ მხედველობაში მიეროვთ მისა და იტალიის შორის არსებულ განწყობილებას. ევროპა ფაქტიურად ორად გაიჩეხა! თუმცა ამისდამიუხედავად ირჩედენტის საკითხოც და საერთო გერმანიის ერთს კონსოლიდაციის პროცესიც ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დამთავრებულად. მაგრამ მომავალში მისი მოსალოდნელი აქტები, საფიქრებელია, ისე იოლათ აღარ ჩაიცლის, როგორც აცხტრის შეერთება: ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს უფრო რთული და საშიში ოპერაცია, ე. ი. უცხო სახელმწიფურ მოგანიზმების აეგლიჯოს თანდართული ელემენტი განსაზღვრული მოსახლეობის სახით.

ორ მძლავრ სახელმწიფოს მიერ გაპობილ ევროპის ორთავ სექტორში მდგომარეობა ისევ ახლართ-დახლართულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე-ვ ინტერნაციონალის შეტევის შანსები თანდათანობით მცირდებიან. ამ მხრივ მეტად საყურადღებო მოვლენებმა თავი იჩინეს ესპანიაში, სადაც უკვე სწარმოებენ სოციალისტური მთავრობის სალიკვიდაციო ოპერაციები. ფრანგის მხედრობა პოზიციებს პოზიციებზე აცლის წითელ ჯარს. ყველა ისიც. ვისაც კული აქვთ ასვრილი კომუნისტურ საქმიანობაში ასობითა და ათასობით გარბიან ესპანეთიდან; მათ კვალს მისდევენ იმედგაცრუებული ჩეკისტები და მოსკოვის სხვა ჯურის ემისრები; წითელი ჯარის ნაფლეთებიც დაბოლოს იმათვე აედევნება, ან ზღვას მიაშურებს თავს...

ბოლო დროს ისევ გაცხოველდა მოსკოვისა და მის ამყოლთა და-

ხმარების ინტენსიუტიკაცია წითელ ესპანიისათვის საომარი მასალისა და ხალხის მიწვდით, მაგრამ ამითი ვეღარ გამოსწორდება მოშლილი მანქანა!

ამ ამბებიდან დროზედ „განიბერტყა ფერხნი“ დიდმა ბრიტანეთმა და ამგვარათ სიმშრალეზე დასვა ყველა ისინი, ვინც რუსეთის წითელი ძონის წინაშე მთელი სამყაროს წამოჩინქებას განიზრახავდნენ. ამასობაში დაგვირგვინდა (16 აპრილი) უდიდესი მნიშვნელობის მოლაპარაკება, ინგლისი და იტალია რომ ეწეოდნენ არმში უკვე დიდი ხანია! ეს გარემოება ბევრის ჰაზრით შშეიღობიანობის განმამტკიცებელ ფაქტორად უნდა აღინიშნოს, გარნა თუ ასეთი დამტედება მანცა და მაინც გაზვადებული არის, ერთი მაინც აშკარაა: საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის თარიღი კარგა ხნით უკან წაწეულ იქმნა.



„რომი-ბერლინის ლერძის“ ომოსავლეთით ატუზული დგა ბოლშევიკური ქვეყანა, მაგრამ დასავლეთზე რომ ვწერდი, ბევრწილად მასვე ეხებოდა — ყველათა ალევისა, დავითარაბისა და შფოთის წარმომშობსა და გამლივიებელს! კომუნისტურმა რუსეთმა ოცი წლის განმავლობაში აბიაბრუა მთელი კაცობრიობა, მაგრამ როგორც ყოველისეერში, აქაც ერთიარამ საზღვარი ჩნდება: მოსკოვის კულმინაცია უკვე წარსულში არის; ხელახლა მასზე შეხტომა სასაცილო ოცნებას უდრის! ეხლა იშვება დაშვება, დაქანება — შეუჩერებელი, გაქროლებული — უფსკრულისა და განადგურებისაკენ! ეს პროცესი ხდება პარალელურათ, როგორც შეიგნით ისე გარეთაც — ასე ვსოდეთ მსოფლიო ვარაუდითა და მასშტაბით. კომუნისტური რეჟიმი გაიხრმავა თავიდან ბოლომდის! თუ ნამდვილი სახელმწიფური ავტორიტეტი ბოლშევიკურ ხელისუფლებას წინაპარებული საგრძნობლად აკლდა, ამჟამათ საბჭოთა სამფლობელოში ამ მხრივ ნატაბალიც არ დარჩენილა: ასე ხდება ყველაგან, სადაც წესწყობილების ფუნქციები მთლიანად ავეგბულნი არიან მხოლოთ-ლა განუზომელ შიშა და ძრწოლაზე! მისი შედეგიც ერთია: სისულვილი და ჯავარის ამოყრა! ამის გარეშე არ არსებობს არავითარი სტიმული ყოფაქცევის მიხრისა, შესმენისა, დამორჩილებისა....

პოლოტიკურმა ბრძოლამ რუსეთში ახალი ფორმები მიიღო, რომლის ნიშანდობლივობათ აწი გვვლინება თვით გაბატონებულ წრის შეგნით ამტკდარი შეტაკებანი და მათთან დაკავშირებული სხვა მრისხანე მოელენები. კეშმარიტად საოცარია ეს რუსული ბუნება: კრემლის სატრაპიაში შედარებით უზრუნველყოფილად მიაჩნიათ ეხლა უბრალო პატივაყრილი ქვეშეგრძომი — პარტიის გარეშე მდგომნი, პარტიისავე უკიდურესი მოძღვენი! ჩეკა რისხევა თავისი გადიტანა პარტიულ ელემენტებზე. ჩეკის დამსჯელი აპარატი მიტრიალდა თავისისხებისაკენ, და უნდა ითქვას სიმართლე, ამ მიმართულებითაც ამოქმედებული აწი-

ოკება და ულეტა სულაც არ ჩამოუვარდება იმას, რასაც კომუნისტები თავის სოციალურსა და პოლიტიკურ მტერთა წინააღმდეგ ახდენდნენ! ჩეკა უშენს ყველას—ბრალიანსა და უბრალოს! ჩეკა გაუგონარი მრის-ხანებით მუსრს ავლებს ხალხს, ერთ მუქა მანიაკების ბუდის გადასარ-ჩენათ! ჩეკა ერთად ერთი პუნქტი-ლა, მმართველ პარტიას რომ შექჩა, მის გარეშე ყველა ზურგშექცეული არის მისგან. კომუნისტური საჯა-ლათ დაეშვა მოლიქულ დამართოსკენ! აღსრულდა ლენინის წინა-შარმეტყველება: ჩეკი დალუპვა მაშინ დაწყება, როდესაც ერთმანე-თის ულეტის ხელს მიყყოფთ! კარგა სცოდნია მეთაურს თავისი ხალხის ბუნება და სულისკვეთება, თანაც ცხოვრებამ მას მგონია არგუნა მხ-ოლოდ ამ გამოთქმის განალდება!



საიმპერიო რუსეთის განუსაზღვრელმა მატერიულმა შესაძლებლო-ბამ ამ ხნისამდისაც დიდის წვალებით სწია უშნოთ შეკორწიტებული კომუნისტური ტივი. მის პატრიონთ რაც რომ იდეური ებადათ, ყოველი-ვე ეს უმოწყალოდ დაამსხვრია სინამდვილეზ. ფორმულები უკუაგდო ცხოვრებამ. ღოქტრინის დედა-ჰაზრი ფრაზეოლოგიამ შთანთქა. იდე-ოლოგია ინაცვლა ჩეკამ... ეტყობა მარქსს რაღაც წინაგრძნობა ჰქონია, რომ ეზიზებოდა რუსები! ამთაც გადაუხადეს გერმანელ სკიმიტს: ვის შეეძლო უფრო მეტათ გაემასხარავებინა მისი — იქნება პრაქტიკაში მავნე და გამოუსადევგარი — მაგრამ თავისებურათ დასაბუთებული და ამჟამადაც ანგარიშვასაწევი სოციალური და ეკონომიკური სისტემა?...

საბჭოთა რუსეთი არის ტაიიური პოლიტიკურ - მილიტარული სა-ხელმწიფო. ორივე ელემენტების მეოხებით დღევანდლამდის ისჯებო-და „შინაური მტერი“, საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა. თუ რო-გორ გამოიყენებს წითელი ჯარი თავის ნამდვილ ფუნქციებს და რო-გორ შეისრულებს თავისისავე თავდაპირველ დანიშნულებას „პროლე-ტარულ“ სახელმწიფოის ხელისუფლობის და მთლიანობის დაცვის სა-ქმეში, ამ სანახაობასაც შევეცსწრებით. აქეთკენ იხრებიან ყველა ის მო-ვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ შორეულ აღმოსავლეთში. გარემო-ებათა დენას იქ ლოლიკური დასკვნანი უნდა მიეცეს. დადგება დრო, როცა საბჭოთა რუსეთი იძულებული შეიქმნება ამა თუ იმ სახით გა-მოეხმაუროს არა მარტო თავის ღრასების შემლახველ მოვლენებს, რო-მლებსაც ციმბირის აღმოსავლეთით გამუდმებით აქვთ ადგილი—რუსე-თმა სულ მალე უნდა იზრუნოს თავის სასიცოცხლო ინტერესებზე: სა-ზღვრებზე და საერთო სამკვიდრებელზე. თუ ამჟამადის მისი მონაწი-ლეობა შორეულ აღმოსავლეთის ეპოქეში განისაზღვრებოდა ხმაწაპა-რებულ და უილაჯო დიპლომატიურ წარდგენებითა და პროტესტებით, მერე ეს შესაცვლელი გახდება უფრო ჩეალ მოქმედებით, და ეს კი სწ-ორედ ის არის, როცა საგონებელში ავდებს მოსკოვს და რისი აშორე-ბაც მას ენუკვრება!

გადამჭრელი მნიშვნელობის ამბები სწრაფი ნაბიჯით ახლოვდებიან. ამასა პერძნობენ ყველანი და ყველგან. ამ ნიშნით მიიმართება ჩვენი დრო მას ანგარიშს უწევენ და უფარდებენ ყოფაქცევას სახელმწიფონი და ერნი.

მტრის ულელში შებმული ქართველი ხალხი შეუმზადებელი არ უნდა დახვდეს მომქროლავ ამბებს. ერი შემკრებელობითი გონებით უნდა ჩასწევდეს საგანს წინასწაარმილებული ზომებით აიშოროს მტკიცნეული ფაქტები. სამისო დრო მერე აღარ იქნება: ზარი რომ დაჰკრავს უკანასკნელათ, კარნი განეღებათ მხოლოდ მღვიძიართ, უდებებაში მყოფნი ვეღარ შევლენ „სასიძო“ დაბაზში...

ჩვენ ვესაჭიროება ერთობა, შემტკიცება, შეფიცება ჩვენი ქვეყნის ხსნისათვის. სხვა გზა სავალი არ არსებობს... იმ დღიდან, როცა ჩეკის სატუსალო მატარებელს ავშორდი, მაშასადამე მოელი თექვსმეტი წელიწადი ამას გავიძახი, და ამას არ მოვიშლი, ენაც რომ დამიშრეს!

იქ — მიმწუხრებულ სამშობლოში — ეს საკითხი თავიდგანვე გადაწყვეტილი არის ამ გაეგმოთ. რუსეთის ულლის გადაგდების წყურვოლმა ქართველობა შეაულლა! აქ — გადმოხვეწილებაში — განვებამ წყრომა თვისი თავს დაგვატეხა, ავვირია გონება, ავვიშუოთა სული, ერთმანეთს წაგვიდა! ეს უბედურებაც თურმე საქარისი არ ყოფილა: სხვა ხათაბალაშიც გადავცირებით სხვა და სხვა ბნელი ინდივიდებისა და მტრის ავენტების გაიძერობით. ქართველებს ეს არ ეკადრებათ. ამას გათავება უნდა დროზე. მახინჯ ხალხს სულ ადვილათ შეუძლიათ სახელი გაგვიტეხონ შინაცა და გარეთაც... გარეთ უფრო: დაიჯერეთ!..

რ. ინგილო



## პროგეთებითა პროგლემა \*)

3. ბონჩქოვსკი

### I. შესავალი

თანამედროვე რუსეთის საუკეთესო მკელევარმა, იან კუხაუესკიმ უკვე აღნიშნა, რომ რუსებს მიაჩინათ პოლონელი რუსოფილები ყველაზედ ნაკლებად გასაგებად და, იმავე დროს ყველაზე მეტ საეჭვოდ. რუსები უთუოდ კარგათ ერკვევიან იმ ვითარებაში, რომელიც გამომდინარეობს პოლონეთის ისტორიიდან და მისი გეოგრაფიული მდგომა-

\*) ეს წერილი წარმოადგენს შესავალს იმ წერილებისა, რომელიც იძებეჭდიან პოლონელ უურნალ „ვსხუდ“ში (აღმოსავლეთი). ეს უურნალი აშუქებს საზოგადოთ აღმოსავლეთის და განსაკუთრებულად საბჭოთა რუსეთის მიერ დამონაბულ ერთა საკითხებს. წერილის ავტო-

რეობიდან. სწორეთ ამით აისხება, რომ მოსკოვს მხოლოდ ანტირუსული მიმართულება მიაჩნია, ისეთ მოვლენად, რომელმაც აღრე თუ გვიან უნდა გაიმარჯვოს პოლონეთის პოლიტიკურ რეალიზმის ასპარეზზე. ამის გამო რუსეთის მთელი პოლიტიკა პოლონეთის მიმართ მიმართულია ამ ანტირუსული პოლიტიკური რეალიზმის წინააღმდეგ.

პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულების ასეთ ბუნებას ჩვენ პრო-  
მეთეს საკითხთა სფეროშიაც შევამჩნევთ. პრომეთეს აქციის გამძლავ-  
რება პოლონეთში ან მისი შესუსტება, თუ სრულიად შეჩერება, არ იმ-  
ყოფება არაითარ მიზეზობრივ დამოკიდებულებაში საბორისა რუსეთის  
ანტიპოლონიურ აქციის გაღვივებას თუ შესუსტებასთან. მაშასადამე,  
ნიადაგს არის მოკლებული ყუველგვარი იქვი შესახებ პოლონეთ-რუ-  
სეთის დამოკიდებულების გამწვავებისა პრომეთეს მოძრაობის აქტივი-  
სტურ ინტერპრეტაციის გამო.

ამავე დროს ამ პრობლემის აქტივიზაცია საბჭოთა რუსეთისათვის არა ხელსაყრელს მომენტში (ასეთი მომენტის მოწამენი ვართ ჩენ ამ- გამაც), არის მდგომარეობის მიზანშეწონილი გამოყენება პოლონეთ- რუსეთის იმ მუდმივს კონფლიქტში, რომლის საბოლოო გადაჭრა მიუ- ცილებელია. რასაკვირველია, რუსეთის სურვილი იქნებოდა, რომ ყო- ველივე ეს მოხდეს გვიან, როდესაც ის თავს დააღწევს შინაურ სატკი- ვრებს და ასე თუ ისე გადასჭრის თავის საკითხს შორეულ აღმოსავლე- თში. სწორეთ ეს „გვიან“ იქნებოდა ერთად ერთი შილწევა პოლონურ პაციფისტებისა და რუსოფილებისათვის, მაგრამ პოლონეთი იძულებუ- ლი გახდებოდა დაეფარა ამ დაგვიანების ანგარიში თავის თავის არა ხე- ლსაყრელ პირობებში წარმოებულ ომით, რაც შესაძლოა დამარცხება- თავის დასრულდეს.

ამის მიხედვით პოლონელ პაციფიკურების, ანტიპრომეტელთა და რუსოფილთა აგნეტები, რომლებიც ჩეკი ამის ანთების განზრახვებს გვაძრალებენ, გვევლინებიან შეგნებულ და შეუვნებელ იარაღათ საბჭოების პროპაგანდისა, რომელიც მუშაობს იმისთვის, რომ გადადას (და არ ალკვეთოს) პოლონეთ-რუსეთის კონფლიქტის გადაჭრა, და გადადას იმ მომენტამდე, როდესაც რუსეთი გაძლიერებული, მიავლებს პაციფიკურ ფრაზეოლოგიას და პოლონეთს თვითონვე აუტებს ამს.

პოლონეთ-რუსეთის დამოკიდებულების საღი გაგება და სამი მ-ანის (მოსკოვი, მარქსიზმი, მასონობა) გავლენისაგან განთავისუფლების წყურვილი გვიკარნახებს ჩენენ პრომეცევლითა პრობლემის დაყენებას ფართო პოლიტიკურ პერსპექტივების, გულშრფელ იდეოლოგიისა და ახალი პოლიტიკის ნიადაგზე.

რია ცნობილი უურნალისტი, ვ. ბონქევასკი, უურნალ „ვსხვდის“ და გამზ. „პოლონური აზრის“ რედ-რი და ეკუთვნის პოლონელ უურნალისტთა იმ წერეს, რომელსაც პრომეთეს პრობლემა მიჩნეული აქვს არა როგორც თეორეტული მსჯელობის საგანი, არამედ როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრობლემა პოლონურ პოლიტიკისათის.

## II. პოლონეთი და პრომეთეიზმი.

პირველი დაყოფის დროს პოლონეთი წარმოადგენდა 12 მილიონიან სახელმწიფოს, რუსეთი 20 მილიონს, ხოლო პრუსიას მხოლოდ რვა მილიონი მცხოვრები ჰყავდა. ძალთა განწყვბილება პოლონეთისა და ამ ქვეყნების შორის იყო — 1 : 2. ეხლა კი საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს 165 მილიონიან კოლონს, პოლონეთს ჰყავს 33 მილიონი მცხოვრები და გაერთიანებულ გერმანიას (ავსრის შეერთებამდე) 63 მილიონი. ამ მე ზომელთა ძალა ჰქმნის პოლონეთისათვის არასელსაყრელ პროპორციას შემდეგი რაოდენობით — 1 : 7.

ეს პროცესი, მეზობელთა გამძლავრებისა და მათთან შედარებით პოლონეთის დასუსტება დიდი ხანია სწარმოებს. უკვე მე-16 საუკუნეში გამოდის რუსეთი სცენაზე არა როგორც ვასსალი იმ დროს უკვე გადა-გვარებული ოქროს ჩარდახისა, არამედ როგორც მატარებელი მესამე რომის იდეისა. ამავე დროს გერმანია ლიუტერანიზმის მითით უპირდა-პირდება ხოზიურის და სკარგის პოლონეთს. შემდეგი, მე-17 საუკუნის ნახევარი, უკვე აღნიშნავს პოლონეთის მომავალ დაყოფის ნიშნებს. მე-19 საუკუნის პოლონეთისა და მისი ორი დიდი მეზობლის ძალთა განწყ-ყობილება აღწევს — 1 : 4. პოლონეთის პრობლემის უმთავრესი არსი იმყოფება სწორედ იმაში, რომ ეს მეთუთხმეტე საუკუნეში დაწყებული პროცესი დღევანდლამდე არ დასრულებულა. დღეს გერმანია ისახავს სუდეტის გერმანელთა ანშლუსისა დაპოლონეთის ხარჯზე აღმოსავლე-თში ახალი ტერიტორიების შეძნის გეგმებს. რუსეთი კი უყურებს პო-ლონეთს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ველების დაშეულ შეილის თვალით. დასავლეთის განაპირია ქვეყნების დაკარგვის მომენტში, იგი ფაქტიურად იპყრობს გარე მონგოლეთს და ჰქმნის ჩინეთში კომუნის-ტურ რესპუბლიკას. „რუსეთის ძალა გამოიხატებოდა დაყრინბაში“. სწორდა 1926 ვ. ივანოვი. „აღმოსავლეთში იაპონურ ფაშიზმის დამარც-ხებისათვის საჭიროა მისი ზურგის მოსპობა დასავლეთში“, ასეთია საბ-ჭოების ფარული საგარეო პოლიტიკის ლოზუნგი. საბჭოები ებრძვიან ნაციონალურ ეკრანს ისპანიაში და აწარმოებენ ტერორისტულ აქტ-ებს შანხაის ფრონტზე. ისინი ჰქმნიან სახალხო ფრონტებს ეკრანაში და რაზმავენ ჩინურ კოლონს იაპონიის წინააღმდეგ. 1905 და 1914—18 წლების დამარცხებამ ვერ მოუსპონ რუსეთს მტაცებლობის მადა და ტე-რიტორიალური გაფართოვების ზრახვები.

მსოფლიო ომში დამარცხებამ ასევე ვერ აღკვეთა აგრესიული ზრ-ახვები გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმისა. ამ მეზობელთა ძალთა გა-ნწყობილება პოლონეთის მიმართ გადაიქცა ჩვენ დროს პროპორციათ — 1 : 7. პოლონეთი ამრიგად უფრო სუსტდება, ვიდრე ძლიერდება შე-დარებით და ფაქტურადაც. პოლონეთის დაცემა და აღდგენა (პირვე-ლს ჰქონდა ადგილი პოლონეთის არასელსაყლებრივად დაუძლურებისას, ხოლო მეორეს, მისი მეზობლების დროებით დასუსტების დროს) უკვე

წარსულის ეპიზოდებს წარმოადგენს. სცენაზე დარჩა როგორც უცვლელი: რუსეთისა და გერმანის გაძლიერების ტენდენციები.

ეს ტენდენციები შეიცავს კიდევ ერთ პომენტს, რომელიც აქამობდე ნაკლებად იყო ჩაგდებული ანგარიშში. ეს არის პოლონეთისა და რუსეთ-ევრაზის მცხოვრებთა გამრავლების შესაძლებლობანი. რუსეთს მოქალაქება აუტორება სივრცე ცარიელი მიწებისა და ამის გამო ჯერჯერობით განუსაზღვრელი შესაძლებლობანი შინაური კოლონიზაციისათვის. 80 წლის განმავლობაში შესაძლოა რუსეთის მოსახლეობამ 500 მილიონს მიაღწიოს. ამავე დროს დასავლეთ ევროპაში მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს, ხოლო პოლონეთში უკვე უახლოვდებით მცხოვრებთა მატების შეჩერებას. წარსულ წელს საფრანგეთში სიკვდილმა 12 ათასით გადააჭარბა დაბადებას. 1980 წლისათვის საფრანგეთის მოსახლეობა შესაძლოა 30 მილიონზე ჩამოვიდეს და ინგლისის კიდევ ასი წლის მანწილზე 4 მილიონამდე.

გამოთქმულ მოსზრებათა ასპექტში პრომეთეს პრობლემა, რომელიც გამოისახება რუსეთის დაყოფაში მრავალ ეროვნულ ერთეულებად, უკრაინის, კავკასიის და თურქეთისა და სხვ. გვევლინება როგორც ერთად ერთი საშეალება, რომელიც შეაჩერებს პოლონეთისათვის საშიშ მოწოლას ძლიერ მეზობელთა სწორედ იმ მიმართულებით, სა-დაც ის უფრო ძლიერია — პოლონეთ-რუსეთის ხაზზე.

შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად, რომ პრომეთეს პრობლემის რეალიზაციაზე და მისი მუდმივი აქტუალიზაციაზე, დიდათ არის დამოკიდებული მომავალი პოლონეთისა, როგორც ძლიერი და თავის არსებობის დაცვის შემძლე სახელმწიფოს.

ჩვენ აქ არ ვხებით პრომეთეს პრობლემის მნიშვნელობას ანტიკომუნისტური აქციისათვის და აგრეთვე, ტაქტიკურ დაცვისათვის, რაც თავის თავად ნათელია და გასაგები.

პრომეთეს მოძრაობისა და პოლონეთის ინტერესთა შორის კავშირი მეტად ძლიერია. ხალხთა ურთიერთობის ისტორიაში უთუოდ იშვიათია ასეთი სიმბიოზი სახელმწიფოებრივობას მოქლებულ ერთა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ინტერესთა შორის. პოლონეთის დამოუკიდებლობა და მონობაში მყოფ პრომეთელ ერთა განსხვავებული მდგომარეობა შეიცავს მხოლოდ და კონიუნქტურულ სხვადასხვაობას.

### III. თანამედროვე ვითარება და პრომეთეიზმი.

თანამედროვე სინამდვილე, რომელშიდაც ვითარდება პრომეთეს მოძრაობა, შეიცავს მთელ ჩივ მნიშვნელოვან მოვლენებს:

1. ჩინურ (საბჭოების) — იაპონური კონფლიქტი, რომელიც ვითარდება საბჭოთა რუსეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე, დიდ სივრცეებზე, სადაც ერთმანეთს უპირდაპირდება საბჭოებისა და იაპონიის ინტერესები.

2. ნაციონალურ, სოციალურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავება საბჭოთა რუსეთში.

3. საბჭოთა რუსეთსა და გერმანის შორის თანამშრომლობის დარღვევა, რაც ხშირად ერთმანეთისადმი მტრული აქტებითა და გამოსულებით ხასიათდება.

4. ანტიკომუნისტური პაქტის დამყარება იტალიასა, გერმანისა და იაპონის შორის.

5. ბუნებრივი და მოსალოდნელი კრიზისი რუსეთ-ოსმალეთის დამოკიდებულებაში.

6. რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე ოთხი მუსულმანურ სახელმწიფოს შეთანხმება (ოსმალეთის, ირანის, ირაქის და ავღანისტანის).

7. პოლიტიკური დაახლოებება ბალტიისა და შავი ზღვის სახელმწიფოების (შვეცაიდან რუმინიამდე).

8. საბჭოთა რუსეთის ჩარევა ისპანიის სამოქალაქო ომში და მით ხმელთაშუა ზღვაზე მეტოქე სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში.

ამ მოვლენათა ფონზე პრომეთელ ერთა პრობლემა ღებულობს ამჟამად ისეთი პრობლემის სახეს, რომლიც შედის უაღრესად აქტუალურს და თითქმის რელიზაციის ხანაში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ უნდა დავიხუჭოთ თვალი იმ შედარებით მცირე დაპრეოლებებზე, რომელიც ხედება გზაზედ პრომეთელთა პრობლემის განვითარებას. მუქარა ამერიკის ინტერესებისათვის ჩინეთში და ინგლისისა, საზოვადოთ, შორეულ აღმოსავლეთში, აფერებებს იაპონიის აქციების გაშლას და მით ამაგრებს საბჭოთა პოზიციებს. ნაკლებად არის აგრეთვე შეთანხმებული პოლიტიკური ხაზი სხვა, რუსეთის გარშემო მდებარე სახელმწიფოების, რომელნიც ნაწილობრივ იმყოფებიან რუსეთის მიმართ მეგობრული ტენდენციების გავლენის ქვეშ. საჭიროა აღინიშნოს კიდევ ანტიკომუნისტური ბლოკის სახელმწიფოთა აქციის საერთო გეგმის უქონლობა. გერმანია ძეველებურად გულუპრევილოდ ჰყოფს რუსეთს წითელ და თეთრებად, და თავის გეგმას აშენებს ებრაელობასა და კომუნიზმთან ბრძოლის ნიადაგზე და მით იტოვებს ლია კარებს მომავალში თეთრ რუსეთთან თანამშრომლობისათვის. ასეთს პირობებში პოლონეთ-იაპონიის ინტერესები გაიღილებით უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე გერმანია-იაპონიასა, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი არ მიმხრობია ანტიკომუნისტურ პაქტს. მიუხედავად ამისა პრომეთელთა პრობლემის სუსტ მხარეებს აძლიერებს ის გარემოება, რომ იაპონიური წრეები საკმაოდ არ იცნობენ პრომეთელთა პრობლემას და ჯეროვნად ვერ აფასებენ მას. ეს წრეები ჯერ კიდევ იმყოფებიან რუსული მეცნიერების გავლენის ქვეშ, რომელიც ყალბ სურას უსხავს მთა შესახებ რუსეთის სახელმწიფოებრივი განუყოფელობისა და მონოლიტობისა.

ამ მხრივ დამახასიათებელი იყო პრომეთეს კლუბის ლიკვიდაცია ხარბიში მანჯუკის დაარსების შემდეგ. ეს იყო გამარჯვება თეთრი რუ-

სეთის ემიგრაციის, რომელიც ამა თუ იმ სახით თანამშრომლობს წი-  
თელ რუსეთთან თანახმად პრინციპისა: იზოლიაცია საბჭოთა რეჟიმს,  
და სამსახური განსაცდელში მყოფ სამშობლოს.

პრომეთეიზმის სუსტ მხარეს წარმოადგენს აგრეთვე ოსმალეთსა  
და ირანში დამყარებული მდგრმარეობა. ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ  
აქვთ ღირსეულად დაფასებული ამ პრობლემის მთელი მნიშვნელობა. უფერულია ამ პრობლემის მიმართ აგრეთვე ავლანისტანის პოზიცია  
და საერთოდ მეტად პლატონიური სახის არის საადაბადის პაქტის შე-  
მცვერელ სახელმწიფოთა ინტერესი მუსულმანურ სამყაროსა და კერ-  
ძოდ საბჭოთა რუსეთის მუსულმანურ ხალხთა მიმართ. უნდა აღნიშ-  
ნოთ ამ პრობლემის სუსტი გაგება რუმინიაში, რომლის ინტერესი დი-  
დათ მოითხოვს დასუსტებას რუსეთისა, რომელიც ილტვის ბესარაბიი-  
სა და დუნაის ზღვასთან შესართავში კვლავ დაშვეირებისაკენ. პრომე-  
თეს მოძრაობისადმი უყურადღებობას იჩინს კარლოს მე-12 სამშობლო  
— შვეცია. უფრო გასაგებია პოლიტიკურ პორიზონტების სივიწროვე  
ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სუსტ ბალკანეთის სახელმწიფოში.

სტატიური და სრულიად პასიური ბლოკი ვერსალის ტრაქტატის  
ბლოკისა ასევე არ ეუთვის რუსეთის დანაწილების მოტრფიალეთა  
ბანაკს.

უკელა ამ გარემოებათა გათვალისწინება, უკეთ მივიღებთ მხედ-  
ველობაში საყველთაო გაძლიერებას რევიზიონისტული ტენდენციე-  
ბისა მთელს მსოფლიოში, გვაძლევს უფლებას აღვიაროთ გადამწყვე-  
ტი უპირატესობა და ძალა დადგებითი ფაქტორებისა, უარყოფით ფაქ-  
ტორებთან შედარებით, პრომეთეის პრობლემის ზრდისა და განვითა-  
რების საქმეში.

საბჭოთა რუსეთის მიერ დამონებულ ერთა მრავალწლოვანი მო-  
ლოდინი განთავისუფლებისა უკვე უახლოვდება თავის დასასრულს.  
პრომეთეიზმი უკვე იყავებს მნიშვნელოვან აღვილს იმ ცენტრალურ  
პრობლემთა შორის, რომლებმაც უნდა დამყარონ ახალი ვითარება  
ევროპაში. ის გადაება ანგლო-იტალიურ კონფლიკტს, უახლოვებს თავის  
ორბიტას გერმანისა და იტალიას და უწინარეს ყოვლისა, აკავშირებს  
ანტირუსულ გეგმებს რუსეთის მოსახლეობე ქვეყნებისა: პოლონეთისა,  
იაპონიის, ოსმალეთის და რუმინიის.



## ეკონომიკი პოლიტიკა იჩვენები

შესავალი.

დედამიწის თითქმის მთელს ზურგზე პოლიტიკურ-ეკონომიური  
რეჟიმების შეცვლის საკითხი დღიურ წესრიგში სდგას.

უდიდეს დემოკრატიების წინაშე წარმოშალენ უმწვავესი პრო-

ბლემანი, რომელიც გარდაწყვეტას მოითხოვნ, რადგან მათი ბედ-ილ-ბალი და მომავალი ამ პრობლემებზეა დამოკიდებული.

ჩვენ ვიცით თუ რა იმედით შესცემოდა მთელი კაცობრიობა თა-ნამედროვე ცივილიზაციას, რომლისაგან იგი ხსნას და ამა სოფლად სა-მოთხის დამყარებას მოელოდა. უნდა გამოვტკდეთ, რომ ეს იმედი გა-ცრუებული გამოდგა, რომ პირიქით, ჩვენ უძლური მოწმენი შევიტე-ნით ამ ცივილიზაციის დეკადანისა და ნგრევისა.

ამ დრომატიული სურათის წინაშე მდგომად რა გვმართებს ჩვენ, როგორც ადამიანთ და კერძოდ, როგორც ქართველებს? ასეთ ფრიად რთულ და თავსამტკრევ კითხვაზე ორიოდე სიტყვით გაცემულ პასუხი ვერ ამოსწურებს პრობლემის შინაგანს და ვერც ვერავის დაკამაყოფი-ლებს. ამ საკითხის გარშემო მწვავე კამათი მუდამ არსებობდა, იგი ასე ესთქვათ სპეციფიურია კაცობრიობის და საზოგადოების სოციალურ კითხებისა, იგივეა მიზეზი პერიოდულ ნგრევა თუ აღორძინების, მას-შევეა ჩაჭედილი ერთა მრავალი ჭირ-ვარამი და რასაკეთირველია ჩვენი ერის სევ-ტელიც.

როგორც ადამიანი, ჩვენ არა მარტო მატერიალურ კეთილდ-ლებისათვის ვიღწვით, არამედ აგრეთვე სულიერ მოთხოვნილებათა კმაყოფილებისათვის, ეს ორი თვისება, განუყრელი და ფუნდამენტა-ლური თვით ბუნებაა ადამიანის, ერთი უშერძლო დამრღვევების მის ცხო-ვრების ჰარმონიისა და ბედნიერების, მაშასადამე ეკონომიკურ-პოლი-ტიკურ პრობლემათა განხილვის დროს ჩვენი მიზანი წინდაწინ შეთ-ზულ დოქტრინების გამართლებას კი არ უნდა შეადგენდეს, არამედ მი-ზანი უნდა იყოს რეალობის, ფაქტების სწორი აღნუსხვით გაკვეთილე-ბის შესწავლა, დასკვნის გამოტანა, ნაყოფის გამოყენება იმ საზოგადო-ების მიერ, რომლის თვითეულ წევრად ითვლება თანამედროვე ადამი-ანი, ყველა თავის დამახასიათებელ თვისებებით და არა როგორც ერთ-ფეროვანი, ერთხომიანი ერთმადიანი, სქესობრიობას მოკლებული ავ-ტომატები!

მით უფრო ჩვენ, ტანჯულ ქართველებს გემართებს სიმართლეს ისე შევხედოთ, როგორც თუთ სინამდვილე ვეძლევს მის სურათს. თუ პირიქით, მის განხილვას ჩვენ ძველი დოქტრინების საზომით ან მიდგო-მით შეუდგებთ, ამით ჩვენ ჩვენს თავსავე უცნებულად მოვატყუებთ და ვავნებთ, ვინაიდან გაცემითილ და ხელოვნურათ შეთხულ ზღაპრე-ბს თუ „უდავო პრინციპებს“ ხიფათს ავა-ცდენთ, ამათ სამაგიროდ ჩვენ ბერია ქვეყანას ვერც ფეხზე დავაყენებთ, ვერც გამოვაძლოთ. რომ ხმა მაღლა ვალევიაროთ ჩვენი წარსული და აწმუო შეცდომანი, გა-მოვტკდეთ, რომ რაც გუშინ სიმართლეთ მიგვაჩნდა დღეს ყალბი გა-მომდგარა, რაც უდავოდ—სადაც გამხდარა, წინეთ გამოსადევე დღეს გამოსუსადევარი. რაც გუშინ სცრიდა და დემაგოგის წყალობით ვას-ვალი ჰქონდა, დღეს ვეღარა სცრის. არც ცრუმორწმუნებაა საჭირო და არც ცრუ ტრადიციონულიზმი იმ ისტორიულ მოვლენათა განხილ-ვაში, რომელთაც კაპიტალიზმი, ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი, სოც-

სალიზმი, ფაშიზმი და სხვ. ეწოდებათ. სალი თვალით დავინახავთ რომ ჩაც უფრო მეტათ გამრავლდნენ „იზმებინი“ სლოგანები და ისედაც უთვალავი კიდევ ლენინიზმი სტალინიზმი, ტროცკიზმი და სხვ. გადა- ებათ. შევამჩნევთ თუ რა სიმწევაეს მიღაწია სოციალურ ანტაგონიზ- მა და ამასთანავე დავრწმუნდებით, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მართლაც უფსკრულისაკენ მიექანება, რომ მის ნანგრევებზე მრავალი ახალი მცნებინი და საშუალებანი წარმოიშობიან ცხოვრების პოლიტი- კურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფორმებისა, რომ კერძოთ ქართველე- ბს შემთხვევა გვექნება ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის გამოცდის ჩაბა- რებისა, პატრიოტულ განზრახვათა რეალიზაციისა და საშობლოს სი- კვარულის არა სიტყვით არამედ საქმით, ნიჭით, სალი აზრით, ხსიათის ნიდოებით.

დიდი გიორე იყო, რომელმაც ვალმი-ს გრძოლის შემდეგ კაცობრიობას ახალი ხანა უწინასწარმეტყველა. გართლადაც, აბსოლუტიზმის და ფეოდალიზმის საწინააღმდეგო მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს. შეიძლება ძველი რწმენა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მცნებებია — იდეებმა გამარჯვების გზა გაიკავეს, ტეხნიკაშ და მეცნიერებაშ პპოვეს გასაქანი და სტიმულანტი. 1780 წლიდან დაწყებული ცხოვრების ყოველ დარგში რევოლუცია ხდება, იძალებიან ისეთი იდეები, რომელნიც დღეს ინტელექტუალურ საზროოს შეადგენენ.

ესაა დიდი ეპოქა უამ უატ-ის პირველ ორთქლის მანქანის და უკარიდის საქმო მანქნის, წინამორბედის საფრანგეთის დიდი რევოლუციას, ფრენდალიზმის და ბატონ ყმობის დაცემის, ვაჭრობა და აღებ-მიცემობის თავისუფლების.

აღმა სმიტის პოლოტეკური ეკონომისის იდეებზე დაყრდნობილმა და აღზრდილმა ინდუსტრიალურმა კაპიტალიზმა და ბურჟუაზიამ პოვეს განვითარების სულიერი საზრდო, მათ ხელს უწყობენ მრავალი ტექნიკური აღმოჩენანი და გამოვლებანი. სახელმწიფოს ავტორიტეტი ამ ახალ ძალების ხელში გადაის თანდათანობით.

ინდუსტრიის განსაკუთრებულ ზრდამ ცხოვრება ძირ-ფესტივანიად გარდაქმნა, შესკვალა სოციალური პირობები, წყობილება, ურთიერთობა, შესკვალა ადამიანის სახე, ხასიათი, ფასი, ლირსება და დანიშნულება; პარალელურად მან გამოიწვია მოსახლეობის ორაჩეულებრივი გამრავლება.

ინდუსტრიის განვითარებას გასულ საუკუნის განმავლობაში უფართხოესი ასპარეზი ჰქონდა; მან ამ შემთხვევით საუკეთესოდ ისარგებლა და გადააჭარბა კიდეც, ვინაიდან შინაურ ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით მან თავსი მისია დამთავრებულად არ ჩასთვალა და იმპერიალისტურ პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი. ინდოეთი დაპყრობილ იქმნა, მასთან ერთად ბევრი მრავალრიცხოვანი თუ სუსტი ერი „ბენინერებას დაესწრო“ კოლონიების სახით ევროპის კულტურულ

რას და ცივილიზაციას დასწავებოდა. იაპონია-ჩინეთის საუკუნეების განვითარების მაგრათ ჩაკეტილი კარები გაღებულ იქმნენ...

თავის განვითარების უმწვერვალესობას ინდუსტრიამ თითქმის 1860-იან წლებში მიაღწია, ვინაიდგან ელექტრონის ენერგიის აღმოჩენის გარდა ვიდრე მსოფლიო ობის დაწყებამდე მას ახალი დიდი გასაჭანი აღარ გამოუჩნდა. მართლაც, გასულ საუკუნის მეორე ნახევარში ჰქედავთ ეკონომიკის პარალიზაციას, ინდუსტრიალური კაპიტალი ეძებს ახალ გამოსავალ ფორმებს ტრადიციის, კარტელების, კონსორციუმების სახით. თუ ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაქარგა თავისი გავლენა, მნიშვნელობა და ისტორიული საჭიროება, მან ადგილი მძლავრ ინდუსტრიალურ ბურჯუაზიას დაუთმო. შეიქმნა სინტეზი სახელმწიფო მოღვაწის და კაპიტალისტის. მაგრამ თუ სახელმწიფომ ავტორიტეტი ახალ ძალებს დაუთმო და ამასთანავე ყველის საწველ ძრობათ გადაიქცა, მისი სწორი დანიშნულება და მნიშვნელობა კვლავ იწყებს ზრდას, თუმცა ინდუსტრიალური არისტოკრატია თავის ეგოისტურ პრეროგატივების დაცვას სცდილობს და გაშმაგებით იცავს თავის პოზიციებს. ამასთანავე სოციალური დაპირისპირება და ბრძოლა მწვავდება. დაიბადა „ხალხის“ და „ერის“ ახალი მცნება; ეს გარემოებანი აიძულებენ სახელმწიფოს თავის მხრივ კონტრიერიშე გადავიდეს დაკარგულ ავტორიტეტის ხელახლად მოსაპოებლად და ხელში ჩასაგდებათ. ფოსტის სახელმწიფოს მონაპილიათ გამოცხადება ჩაითვლება პირველ გამარჯვებათ სახელმწიფოსი. ბრძოლა მის შემდეგ არ შენელებულა, ფეოდალური ინდუსტრია უკან იხვეს თანდათანობით, ეკონომიკა პროვენიულად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ან მის ხელში გადადის. ამ უდიდეს მოვლენის ევოლუცია დღესაც დამთავრებული არ არის, დედა მიწის ზურგის ყოველ კუთხეში ბევრი ოფლი, ცრემლი და სისხლი იღვრის სახელმწიფოს საბოლოო გამარჯვების მოსაპოებლად.

ჩვენ ამ ტიტანიურ ბრძოლის უშუალო მოწმენი, დამწრენი და მსხეურპლი, ვიწრო და კერძო ანგარიშებიც კი ვერ დაგვივიწყნია, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილათ, ერთი ხმით, პრაქტიკული საქმიანობით ჩვენ ქვეყანას არა იუდას სამსახური გაუწიოთ, არამედ იგი მკედრეთით აღვადგინოთ.

## II

კაპიტალიზმის განვითარებას თავისი რითმი აქვს აღებული. თვითეული ახალი ტექნიკური თუ მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც მას ახალ გასაჭანს აძლევს, საჭიროებს 30 წლის ვადას ვიდრე ლაბორატორიაში ცდების და შესწავლის შემდეგ იგი ეკონომიურ ექსპლოატაციის სფეროში გადავიდოდეს.

ფოლადის ჩამოსხმის და ორთქლის მანქანის ეპოქა დაიწყო მხოლოდ უატ-ის გამოვლენების 30 წლის შემდეგ, ისევე როგორც ეპოქა რკინის გზებისა, ე.ი. 30 წლის შემდეგ სტეფენზონის პირველ ორთქლმავალ მანქანისა. ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტრონის ლამაზა, დინამო, ქიმიური აღმოჩენანი ასეთსავე ციკლს გაივლიან, ისევე როგორ

ებების წინააღმდეგ და ფოსტის თავისუფალი ექსპლოატაცია სახელმწიფოს მონოპოლიათ აქცია. მაგრამ სახელმწიფოს რეაქციის მიუხედავათ კაპიტალიზმის როლი და მისი შესაძლებლობანი ამოწურული არ იყენებ; ახალ გამოგონებათ კიდევ ცოცხალი, მასაზრდოებელი სისხლი მოაქვთ „ქიმიის ეპოქის“ სახით.

„ბიუნჩენის ლამფის“ გამოგონებით შესაძლო ხდება მინერალურ ნახშირის ახალ სიმღიდორეთა აღმოჩენა და ქვანაზირის ეკონომიკის ახალ პრინციპებზე ავება; ნობელი გამოგონებს ნიტრო-გლიცერინს, თანამედროვე საომარ იარალის უძლიერეს ელემენტს და ნიტროგლიცერინიდან გამომდინარე დინამიტს. ნობელმავე დააწესა ჯილდო მჟღილობიანობისათვის და ზავისათვის მებრძოლ მოლვაწეთათვის. ერთის ხელით იგი გვაწვდის ბანკის მსუქნა ბილეთს, მეორეთი დინამიტი და სიმბოლიურათ გვირჩევს ფულის გულისათვის ერთმანეთი ველოტო, რაიც მის რჩევის მოუხედავადც სწორი სინამდვილეა!

ნავთის ექსპლოატაცია და მისგან გამომდინარე ნაწილმოებები ქიმიის დარგს შეაღენენ. ქიმიურ ინდუსტრიამ გერმანიაში საზღაპრო შედეგებს და განვითარებას მიაწია და დღეს ჩენ ვიცით თუ რა როლს თამაშობს იგი არა მარტო თავდაცვის საკითხის მხრივ, არამედ მოსახლეობის გამოკვების საკითხშიაც კი!

სახელმწიფოს მეორე დიდ რეაქციას გერმანიაში ვესტროპით. ბისმარკი თავისუფალ აღებ მიუკრძობის უფლებას ზღუდავს ბაჟის დამცველ ტარიფებით; რეინის გზები სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის, შემოიღებს სოციალურ დაზღვევას, იცემა მუშათა დამცველი კანონები. შეერთებული შტატები და საფრანგეთი ამ მაგალითს მიბაძავენ და საბაჟო დამცველ ტარიფებს შემოიღებენ.

„ქიმიის ხანით“ კაპიტალისტური ეკონომიკის დამწიფება დამთავრებულად ვერ ჩაითვლება. ამ ზემოდ ჩამოთვლის ეპოქებს მიემატება კიდევ „ელექტრონის ხანა“. ელექტრონის ლამფის გამოგონება 1860 წელს ედისონისაგან პრაქტიკულად განხორციელდა. ბელლი სრულკუთხ ტელეფონს, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩენა ვერნერ - სიმენსის დინამო მოტორია, რაიც ხელს უწყობს რეინის გზების ელექტროფიკაციას. სავტომანილო ინდუსტრიის ტეხნიკურ ბაზა ჩაისახა 1880—90 წლებში ბენზინის მფერქვაც მანქანის გამოგონებით. ამ ახალ სატრანსპორტო საშუალების განვითარება აღმართ მრავალ დეკადას გასწვდება, მაგრამ მსოფლიო ომმა ეს ბუნებრივი ვადა შეზღუდა. მსოფლიო ომი ეკონომიკურის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მას ვერ შეედრებიან ვერც ნაპოლეონის დროის და ვერც მე-19 საუკუნეში წარმოებული სხვა ომები. ამ სამკვდრო სასიცოცხლო ომმა დააჩქარა არა მარტო ახალ აღმჩენათა პრაქტიკული გამოყენების რითმი, არამედ გამოიწვია დაბადების სტადიაში მყოფ აღმოჩენათა მომწიფება ვადის წინ, როგორიცაა ავიონი, რადიო, სინთეტიური აზოტი, რომელთა გამოყენება სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა. 1919 წლიდან დაწყებული ეს გამოგონებანი კერძო ცხოვრებაშიაც შეიძრენ.

ორც ბენზინის მფეთქი მოტორი, ხელოვნური აბრეშუმი. გამონაკლისს შეადგენენ მე-20 საუკუნის დასაწყისის აღმოჩენანი: ავიონი, სინთეტი-ური აზოტი და რადიო, რომლებსაც მსოფლიო ომში მოუსწრო და მათი გამოყენება დააჩქარა.

ზომბარტის აზრით თანამედროვე კაპიტალიზმი პირველათ ჩაისახა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროს საქსოვი ინდუსტრიის განვითარებით, მაგრამ, ეს პრიმიტიული კაპიტალიზმი არტიზანულ ხასიათისაა და ინდუსტრიალურ ხასიათს ღებულობს მხოლოდ უატ-ის ორთქლის მანქანის გამოყენებით. ასე იბადება პირველი დიდი ხანა კაპიტალიზმისა, „ბაბბის ხანა“ და ეს უკანასკნელი კი საფუძველს უყრის „მაშინიზმს“ და აგრეთვე ეკონომიკურ თავისუფლების იდეების დამყარებას. საფრანგეთის რევოლუციისაგან ინგლისში გადასრულილმა ამ იდეებმა საუკეთესო ნიადაგი ჰპოვეს განვითარებისა. მანქანტერიდან გაისმა ხმა და მოთხოვნილება თავისუფალ აღებ - მიცემობის დამყარებისა.

ფოლადის ჩამოსხმით იწყება შეორე დიდი „ხანა მაშინიზმისა“, ინდუსტრიალური კაპიტალიზმი ძლიერდება, იცვლება საზოგადოების სახე. სახელმწიფოთა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ევოლუციის გავლენას განიცდიან. თანდათანობით კანონმდებლობა იცავს თავისუფალ აღებ-მიცემობას, პროენციათა შორის საბაჟო საზღვრები ჰქონდება, ჩამოყალიბდებიან ნაციონალური სახელმწიფოები; მრავლდებიან ქალაქები, უსაზღვროთ იზრდება მათი მოსახლეობა, სოფელი იცლება.

რეინის-გზების და ორთქლის გემის მშენებლობა ფოლადის ჩამოსხმას და „მაშინიზმს“ თითქმის განსუაზღვრელ ასპარეზს უხსნიან, მასთან დაკავშირებით კაპიტალიზმი საუკეთესო პირობებს პპოულობს აყვავებისა. ყოველ მხრივ გაისმის მათეკური, კეუსი შემრყევი და ადამიანის მადის გამოვიდებელი „გამდიდრდით“. ამის მოსურნე კი ყველაა, ვინაიდან სიმდიდრის გარეშე ცხოვრება ტკბილი არ არის. არსდებინ მრავალი უსახელო, უპიროვნო, ანონიმური სზაოგადოებანი — გამდიდრების და საეკულაციის საშუალებანი. ბურჟუაზია გამეფდა, განდა ქვეყნის ბატონ პატრონი 1847—48 წლების სრული ემანსიპაციის შემდეგ.

გემთა მშენებლობამ გამოიწვია ტრანსოკეანური მიმოსვლა, მძლავრ საზღვაო საზოგადოებების დაარსება. ნაპოლეონ მე-3-ს დროს ძმები შეკრიტები აწყობენ პირველ დიდ სასპეკულაციო ბანკს და ხელს უწყობენ გრძმანიაში დარმშტატის ბანკის დაარსებას. ისახება ფინანსიური კაპიტალიზმი და საფუძველი ეყრება დიდი „ბანკების ხანას“.

პარიზის და ლონდონის პირველი მსოფლიო გამოფენებმა ნათლად გამოხატეს გასულ საუკუნის სულისკვეთება და ტეხნიკურ ეკონომიკური მიღწევები კაპიტალიზმისა. იმ დროს როდესაც ეს უკანასკნელი თავის უაღრეს აქტივობას შტრაუმბერგისაგან დაარსებულ რეინის გზების ხაზზე ჰპოვებს, სწორეთ იმ დროს დაწყო რეაქცია სახელმწიფოს მიერ, რომელიც აქადეკ ეკონომიკურ მოლვაწეობაში პირდაპირ არ ერეოდა. პირველად სტეფენმა მიიტანა იერიში კერძო საზოგადო-

## III

ზემოდ ნათქეამში იღენიშნეთ, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკის სა-  
 ბადებად, მისმა ზრდამ და ინდუსტრიალურ - ფინანსური ბურუუაზი-  
 ს გაძლიერებამ თავისი დაღი დასვა სოციალურ ცხოვრებას და კერ-  
 ძოთ თვით ადამიანს. ფრად სადაცა მისი მტკიცებამ თუ კუობრიობის  
 განვითარებაში კაპიტალიზმის ისრობიული როლი დადგინთი თუ უა-  
 რყოფითი შოვლენა; ორთავე თეზის დამცელი მრავალია, ყველა თი-  
 თქოს მართალია, მაგრამ ყველასი აზრი უშეტეს შემთხვევაში ოპიქ-  
 ტიურობას მოკლებული ერთმანეთს დამეტრალურად ეჭიხაა ამდეგები-  
 ან და შეურიგებელი რჩებიან როგორც წყალი და ცეცხლი.

ამ ფრად საინტერესო საკითხე მასალების ამოწურვა შეუძლებელია უურნალის წერილებით. იძულებული ვართ მცირედით დავქმია-  
 კოფილდეთ და მხოლოდ გავიხსენოთ თუ რანაირი სახე მიიღო სოციალურშა გადაჯგუფებამ, საზოგადოების კლასებად დაყოფვამ და ამ კლას-  
 თა შორის გალვივებულმა შეურიგებელმა ბრძოლამ.

ვერავინ ვერ და მტკიცებს, რომ ადამიანი ისეთი კეთილი და სან-  
 ტრიუნტალური არსება, რომ ქრისტიანულ მაღალ რშმენას ზიარებული,  
 თავის მახლობელზე შეტან პფიქტონდეს ვიდრე საკუთარ თავზე.  
 ასეთი მაღალი შორალის მატარებელი არსებანი სამშუხაროთ იშვიათია  
 ადამიანთა შორის და მათ სიტცირეს კი მუდამ ხელს უწყობს ის ბრნებ-  
 რივი კანონი, რომელიც აძლევებს ადამიანს იშრომოს, ოფლი ჰლვა-  
 როს და იბრძოლოს კუჭის გასაძლომათ. ვიდრე ადამიანი ტყეში სცხო-  
 ვრობდა და, დღევანდელი ტერმინოლოგით, მას კონკურენტი არა ჰყა-  
 ვდა, იგი მხეცს და ნაციონს იოლად უმკლავდებოდა ისეთი იარაღიაც,  
 როგორიცაა კეტი ქვა და საკუთარი მრჯვენა. მაგრამ როდესაც მან თა-  
 ვი ვიწროთ იგრძნო, როდესაც ბრძოლა არსებობისათვის გართულდა  
 და პრიმიტიული იმრალი ვეღრი ეკო, მაშინ კეუის საშუალებანიც და  
 ინსტიქტის ყოველი სასის გრძნობა მოშველა. ადამიანს, სოციალურ  
 არსებას, საზოგადოების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. იგი ექვემდე-  
 ბარება საზოგადოების მოთხოვნილებათ, კანონს, შორალს, რომელთ  
 აღმოცენება ბრნებრივად პირდაპირ დაკავშირებული უნდა ყოფილი-  
 ყეს ამა თუ იმ საზოგადოების გემოვნებაზე ტემპერამენტზე, ფსიქოლ-  
 იკიაზე, ეკონომიურ საშუალებებზე, ტერიორიაზე და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების და თანასწორო-  
 ბის იდეები ხშირად ასულდგმულებრენ კაცობრიობის დიდ მოძრაო-  
 ბათ და წინ უძლოდნენ, ეს თავისუფლება მუდამ გამოყენებულ იქმნა  
 საზოგადოების ძლიერი ელემენტის სასარგებლოთ და კანონის წინაშე  
 თანასწორუფლობიანობა ან ეკონომიურ საშუალებათა სამართლიანი სა-  
 რგებლობა, მიუწვდომელ, განუხორციელებელ მითათ დარჩა.

კაპიტალისტურ ეკონომიკის დამყარებით ძველი ფეოდალური  
 წარმომადგენერაცია პერიოდის მემკვიდრეობითი არის ტოკრატია მნიშ-  
 ველობას ჰერიკეს, ძლიერება ბურუუაზის ხელში გადადის. ინდუსტ-  
 რიის განვითარებამ და სწრაფ ზრდამ მხალი კლასი წარმოშვა, სახელ-

დობრ ქალაქის პროლეტარიატი და აგრეთვე ყოველი ჯურის თანამედროვე შრების მთელი წელი წერა, რომელთა შატერიალურ - უფლებრივი მდგომარეობა და ფიზიკური არსებობა პირდაპირ დაძოვიდეასული იყვნენ და არიან კაპიტალიზმისაგან დამყარებულ კეთილ თუ ბოროტ პირობებზე. გვევლინება ერთის მხრივ მსხვილი ბურეუაზია და მეორეს მხრივ შშროშელი კოსას. ეს ორი დიდი სოციალური დაჯგუფება თითქმის თანამშრომლობს, ჰქმნის უამრავ სიმღიდოებს, მაგრამ ამ სიმღიდრის განაწილება იწვევს ისეთ პარადოქსალურ მდგომარეობას, რომ ერთი შეირჩევა ნაწილი საზოგადოებისა ფართოთ სარგებლობს სიმღიდრით, შეირჩე უდიდესი ნაწილი კი იძულებულია პირველს ემსახუროს, მიჰყადოს ფიზიკური და ინტელექტუალური ძალა. რესაკვირველია, როდესაც ადამიანის მაღის აღიარებას სინილობას არაეითარი კანონი ან ძალა არ საზღვრავს, მას არც გამბედაობა დააკლდა, არც გასამართლებელი საბუთი ხელში მყოფ საზუალებათა უპირველეს ყოვლისა თავის საკუთარ ინტერესებისათვის გამოსაყენებლად. მაშ როგორ იისნება სხვანირად ისეთი ანტიკუმანიური პირობები, როდესაც ადამიანი მოელი ოჯახით, ბავშვთა პასაკის განურჩევლად მილიონობით შერევილ იქმნა იმ ქარნებში, რომლის გარეთ მას არსებობს ყოველგვარი საშუალება მოქსპოდ და ასე მისდა შეუმნიკვლად თავისუფალ მონად იქცა.

ასეთი არაბუნებრივი მდგომარეობა დიდ ხანს არ გრძელდება, დათესილი ბოროტება ნაყოფს იღებს, წარმოიშვა სოციალური მოძრაობა. მისი პირველი მძლავრ გამოქახილს, გაფიცვების სახით ადგილი აქვს პამბის ხანის დაწყებიდანვე, მაგალითად ჰამბურგის გაფიცვა, სილეზიის მქონელთა აჯანყება და სხვ.

ინგლისელ ჩარტისტების მოძრაობის პირველ სიმპტომების შემდეგ გაფიცვები და სისხლის შღვრელი აჯანყებები შრავლდება, მხოლოდ კომუნისტურ მანიფესტის გამოქვეყნებით მყარდება ამა სოფლად მუდმივი, შეურიგებელი რომ კაპიტალისა და შრომის შორის. კარლ მარქსი შეეცადა ახსნას ამ სოციალური ბრძოლისა, მისი მიზნებისა და ბრძოლის მეთოდებისა თავის „კაპიტალში“. მისი მიმღევარნი ცნობილი „მარქსისტების“ სახელწოდებით ლამობენ კაპიტალის დიქტატურა შესცვალონ მუშათა კლასის დიქტატურით. მათ დარჯერეს მარქსის მიერ ნაანდერძევი ბევრი სიმართლე და ჭორებიც და ამტკიცებენ, რომ ამა ქვეყნად თანამწორობის და თავისუფლების „მშერი“ დაწესება, კონკრეტურ საგვრის მოსპობა და სამოთხის დამყარება მხოლოდ და შორლოდ ქარხნის მუშათა კლასს შეუძლიან, ვითომ მართლადაც უსამართლო და უმიზნოთ შევიწროვებული მუშათა კლასი კოფილიყოს ერთად ერთი ელემენტი თუნდაც მარტო მატერიალურ სიმღიდრეთა შექმნაში გარეგნულად დემოკრატიულ ქურქში გამოხვეულნი ისრნი სოფლის მოსახლეობას სათანადო ანგარიშს არ უწევენ, მას ქალაქის პროლეტარიატის გავლენას და დანიშნულებას უქემდებარებენ. თათქმს სოულის მოსახლეობა არა ნაკლებათ იყოს დანტერესებული კაპიტალისტური ეკონომიკის შეცდომების და ბოროტების გამოსწორებაში.

ჩვენ დავინახეთ რომ ყოველი დიდი მეცნიერული გამოკვება შთელ ეაოქს პეტერის; ეკონომიკა ვითარდება, ღლებული განვითარებას მწვერვალს და შეიძეგ სტაგნაციურ ხასიათს ღებულობს ვიცრე სხვა ხალი გამოკვება შას ააალ იძპულს მისცემდეს. მაგრამ უკანასკნელი კიონისის შეიძეგ, რომელიც უკვე 10 წლის სივრცეს გადასცალდა, მას დარ მიუღია ახეთი ახალი იძპული და შესაძლოა ვეღაოც ძირის შეს, ვინაიდგამ ფუნდამენტურ აღმოსაზრის და გამოკვებათ, რომელიც ახალ კონიუსტურას შექმნიდნენ ეკონომიკის გახვითარებისათვის, ადგილი დარ ჰქონიათ. „ერთაც“ ების გამოკვება ვერ ჩაითვლება ღიღდ აღმოჩენათ, რადგან ამ ხელოვეურ ნაწარმოების მიზანია „შესცვალის ბუნებრივი“. რაციონალიზაცია, სტანდარტიზაცია, ტაილორიზაცია, რებინიური გამოკვებანი არ არიან, არამედ უბრალოთ წარმოების ორგანიზაციის მეცნიერული საკითხები. მექანიკურ ტეხნიკური, ინდუსტრიალური რევოლუცია დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალის.

დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისის სიმუშვავებმ, მისგან თავის დაღწევის შეუძლებლობამ აქამდე ნაცად ხერხით და იარაღით, კაცობრით აა დააყრინა მის ისტორიულ გადაშეცვერ და საბედისწერო საკითხის წინაშე. მარტო უმუშევრობის და მოვლის ბაზრის ფასების პროცენტების მას რომ დავაკვირდეთ, დავრმუნდებით დღვანდელ ტევილიზაციის ცრუ, ყალბ და კატასტროფიულ ხასიათში.

კრიზისებით გამოწვეული პერიოდული პარალიზაცია ეკონომიკისა წვევებს ბუნებრივათ დასმულ საკითხების გადაშეცვერის ხალ გზების ძიგბას. თვით ის მოვლენა, რომ დღევანდელი ეკონომიკა ქასითან გამოსასვლელ ხსნას ორგანიზაციული საკითხებიდან მოელის, პულისხმობის მთ თავისუფალ ეკონომიკის გადასცლას მოუყობილ ეკონომიკაზე, უდირესებრივ ეკონომიკისა — პლანურზე. ეკონომიკის ახეთი რეაქცია. ომის წინა ხანებში ტრესტების და კარტელების სახით გამოიხსებოდა. ომის დროს კი თვით სახელმწიფომ პირველად სცადა ეკონომიკის მთალიანი წაძლოლა და დირექცია. თუ ომის შემდეგ ისევ განთავისუფლებული ეკონომიკა ამტკიცებს, რომ ახეთ ცდამ უშედეგოთ ჩაიარა, ეს საესპერი მართალი არ არის, ვინაიდან იმ ხანებში თავისუფალი კაპიტალიზმი უფრო უძლური აღმოჩნდა, დღეს კი ეს უძლობება მან საესპერი გამომცემანა, ვინაიდან დღეს არა იგი, არამედ სახელმწიფო სწყვეტებს და არიგებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მაგ. ღულის სტაბილიზაციის საკითხი. უმუშევროთა დაზღვევა და დახმარება, ხელფასის მინიჭების დაწესება, სოციალური დაზღვევა და სხვა.

პარალელურათ სახელმწიფოს რეაქციასა და ეკონომიკურ ტრაგნაციისა, სოციალური მოძრაობა რევოლუციონურ ხსიათს ღებულობს, ლიბერალიზმი ადგილს უთმობს პროტექციონიზმს და მსოფლიო მთლიან ეკონომიკის იდეამ ერთი ნაბრჯიორა ვერ წაიშია წინ. ნაცილად ამისა აღმოცენდა მრავალი ნაციონალური ეკონომიკა, იდეა ეროვნული სოციალური იდეას დაუახლოვდა, შეხვდა და დაეკავშირა და ეს გარემო.

ება ჰქენის ახალ გარდამწყვეტ ძალას. კაპიტალიზმისაგან გამოწყვეტილი ერის ჩაგრული ფენებისა და სახელმწიფოს ინტერესები იღებრიული ხდებიან და ასევე მათი მიზნებიც. სწორედ, და დასახ, ეს გარემოება უწყობს ხელს, რომ სახელმწიფომ თავისი ისტორიული როლი და მისია ბოლომდე და ლირსულად შეასრულოს.

ეს დიდი გარდატეხის ხანაში, თავისუფალი ეკონომისის ფალენები, გარდა ვიწრო, ეკონისტურ გრძნობისა და შეხედულებისა, ვერ იჩენ განსაკუთრებულ ენერგიის, ნიჭის და უნარს. აქტიურ და გამედული ხსიათი ტიპებს დღეს სახელმწიფო უფრო იძლევა; ეს ბელადები ხალხის წიაღიძის განლობიან: ლენინი, სტალინი, ქემალი, მუსოლინი, მიტრერი ამის ტიპიური მაგალითები არიან.

უკელა ზემონათქემიდან ჩენ შევვიდლია დავასკვნათ, რომ ინტესტრადულური ოეკოლურია დამთავრებულია და მასი ტეხნიკური მშაოვე უაღრეს განვითარებას შეღწეული, რომ ახალ ფუნდაბენტულურ აღმოჩენა-გამოგოხებანი არსად სხიათ და კიდევაც რომ გამოიხვნებ ბათ აღარ ტოებოვებათ განვითარების სველი ასაკები. მოახლეობას სწორაფი ზრდაც იხდუსტრიალურ ქვეყნებში შეჩერებულია და ზოგან კიდევ რეგრესის გზას ადგა. დღევანდელ უმუშევრობის პრობლემის ხასიათი კაპიტალიზმის ისტორიაში უშაგალითოა. არასოდეს მნიულობ ბაზრის ფასები ისე დაბლა არ დაცემულა როგორც დღეს; თავისუფალი ეკონომია ისეთ პარადოქსამდე მივიდა, რომ მისი ფუძე-პრინციპი კონკურენციას, პრაქტიკულად ვერ განხორციელდება.

150 წლის წინეთ ზრდოლით მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის უფლება უკვე დაკირგა ეკონომიკამ, ვიზაიდან იგი ნაწილობრივათ სახელმწიფოს ხელში გადავიდა და ეს პროცესი კიდევ უფრო ვითარდება სახელმწიფოს სასარგებლოთ. თავისუფალი გაცელა-გამოცვლის შესაძლებლობა, ისევე როგორც დღეა მსოფლიოს მოლიან ეკონომიკას, საბაჟო კედლების დამცველ გადასახადებს ეჯახებიან არა მარტო აეტა-რქიულ ტენდენციის ქვეყნებში. არაშედ ლიბერალიზმის უდიდეს დამცველ ინგლისშიაც კი. სახელმწიფომ მოსპონ და სპონს თანაბათანობით თავისუფლებას და უფლებებს, რომელიც მან ეკონომიკას მიაკუთხნა, დემოკრატიამ დამთავრა საკუთარი ეკოლურცა. ეს გარემოება ჰქმინს ერთ შემცნებას სახელმწიფოსი და ერის—ხალხისა; სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალურ წინსალებას და იცავს ხალხს კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. მაგრამ დღევანდელი თაობა, რომელიც წინაუძღვის სახელმწიფოს მმართველობას, კრიზისისაგან ნერვებ აშლილი, ინტელექტუალურად იმდენად სუსტი და ღარიბი გამოდგა. რომ მის რიგებიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულიან, ზოგიერთი გამონაკლისის გარეშე, ენერგიული სახელმწიფო მოლვაშენი, რომელიც მტკიცებ და ენერგიულად შეებრძოლებონ უკვე დამარცხებულ ძალებსა და ვითარებას. პირიქით, ისინი ებრძვიან და ეწინააღმდეგებიან ახალ ვითარებას, ახალ ძალებს, ახალ თომბებს, მაგრამ რამდენი ხნით კიდევ? აქა იქ მან უკვე იარაღი



დაპყარა, რადგან დოქტრინებით დაბრმავებულმა ევოლუციის დედა-აზრს ანგარიში არ გაუწია.

სახელმწიფო, რომელიც სოციალურ მოძრაობას თვითონვე მიუძღვის, უკანასკნელ იერიშს მიიტანს თავისუფალ უდირექტივო ეკონომიაზე. როგორც ბისმარკის დროს ფოსტა, რკინის გზები მის ხელში გადავიდნენ, ისევ უმთავრესი ღრმბნ და ეროვნულ მნიშვნელობის ეპონომიური საშუალებანი მისივე გამგებლობაში გადავლენ. ჩამოყალიბდება საკუთრების ახალი ფორმები და თავისუფლება შეზღუდული. ახალი ხანა ძველებური გზებით არც შესაძლებელია და არცა საჭირო. თუ კაპიტალიზმის უაღრესად განვითარებამ გამოიწვია ტეხნიკურ გამოგონებათა მექანიკურ - ინდუსტრიალური სრულყოფილობა, კაცობრიობამ უნდა შესძლოს ამ მდგრევათა გამოყენება. ეკონომიკა, რომლის დანიშნულება მოთხოვნილებათა ხელოვნური შექმნა იყო, უნდა გადაიქცეს ადამიანის რეალურ მოთხოვნილებათა დამაკამაყოფილებელ ეკონომიკათ, დინამიკა სტატიკათ უნდა იქცეს.

და ეს რეგრესს და უკან დახევის, ან ძველებურად ურემით სიარულს კი არ ნიშნავს, არამედ ესაა ერთად ერთი ადამიანური გამოსავალი და სწორი გზა მატერიალურ და სულიერ თავისუფლებისაკენ!

#### 6. ხიდამონ - ერისთავი



### ‡ ვასილ წერეთელი

ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა, ეროვნულ დემოკრატიული პატრიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი, 76 წლის მოხუცი ვასილ წერეთელი. განსვენებული პროფესიით ექიმი იყო. ამ დარგში მისი მოღვაწეობა, რომელიც იშლებოდა ქუთაისისა და მის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა შორის, იყო სრულიად მატერიალურ ინტერესს მოკლებული, წმინდა პუმანიური და მისი კეთილშობილი შინაბუნების საუკეთესო გამომსახველი; განსვენებული არ გაცყოლია მატერიალურად გამდიდრების გზას და საექიმო დარგში 38 წლის მოღვაწეობის, შემდეგ ის ქონებრივად ღარიბიერ მოკვდა.

მაგრამ ზნეობრივად სპეციაჟ ვასილ წერეთლის მოღვაწეობა უფრო შინაარსიანი, მრავალფეროვანი და ნაყოფიერია ქართული საზოგადოების ეროვნულ პოლიტიკურ ასპარეზზედ. ჯერ კიდევ ყმაწვილი, რუსეთიდან საქართველოში გამოძევებული სტუდენტი იწყებს პილიტიკურ სამწერლო ასპარეზზედ მუშაობას ილია ჭავჭავაძის პატრიოტულ წრეში. ის თანამშრომლობს „ივერიაში“, სადაც აქვეყნებს თავის პირველ წერილებს. ამ ხნიდან ის თანამშრომლობს სხვა და სხვა პატრიოტულ უურნალ გაზეთებში. მეტად დაინტერესებული სოციალ-პოლიტიკური საკითხებით, დიდი სიბეჭითითა და განუწყვეტლივ სწავლობს

და ეცნობა ამ დარგში ფართო ლიტერატურას. მისი მუშაობა ეროვნულ პოლიტიკურ ასპარეზზედ მეტის იდეური გარკვეულობით და ნაყოფით იშლება 1910 წლიდან. დაახლოებით ამ ხანიდან იწყება საქართველოში არასოციალისტური ეროვნული მიმართულების თანაბონითი ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით მომტავე ეროვნული გონიერული ძალები თავს იყრინან ტფილისში უურნალ „საქართველოს“ და ქუთაისში უურნალ „სამშობლოს“ ირგველი. ვასილ წერეთელი ახლად წარმოშობილ არასოციალისტურ, ნაციონალისტურ მიმართულებას ემბრობა, თანამშრომლობს უურნალ „საქართველოში“ და უფრო სისტემატიურად კი ქუთაისს უურნალ „სამშობლოში“. ის ხდება ამ უურნალის ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი. ამ უურნალებში დასტამბული ყოველი მისი წერილი შეეხება საქართველოს წარსული, აქმყო თუ მომავალი ცხოვრების სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წყობა!, წარსული ცხოვრების ღრმად შესწავლაზედ არის დაფუძნებული, დამჯდარი საღი გონებისა და მისი ღრმა დარბაისლური აზროვნების ნაყოფია, მის გულში ანთებულ პატრიოტულ ლამპარზედ გამთბარი და გაშუქებული. ყოველ მის ნაწერსა და ნათქვამში არის ღრმა შინაარსი და აზრი და ქართული პატრიოტული საზოგადოებაც, განსაკუთრებით ამ წრის ახალგაზრდობა დიდის ყურადღებით კითხულობს და უსმენს მას. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ უფროსთა წრიდან არავის დაუწერია პარტიის იდეურ და სპარეგრამზ საკითხებზე იმდენი, რამდენიც განსვენებულ ვასილ წერეთელს. იმას ფრად საღათ და გარკვევით ჰქონდა წარმოდგენილი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის როლი და მნიშვნელობა ქართულს ცხოვრებაში. ის ცდილობდა ქართველი ერის ძეველ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადაჭრილი ხის აკოცხლებას და მასზედ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პროგრესისული იდეების დამყანას. ეს იდეებიც გარკვეულად ჰქონდა მას წარმოდგენილი და ქართველი ერის იშემომქმედი და მშრომელი ფენებიც, რომელთაც უნდა დაყრდნობოდა ერ. დემ. პარტია და ქართველი ერის სახელმწიფოებრივობაც: სოფლის გლეხობა, ვაჭარ-მრეწველნი, ქალაქის წვრილი ხელოსნები და დაქირავებული მუშები შეადგენდა მისთვის ამ ფენებს და მისი აზროვნებაც ამ წრეების საასებო ინტერესების ირგვლივ ტრიალებდა. საგანეთო სტატიებში თუ კერძოდ გამოცემულ ნაწერებში ის ეხებოდა სასოფლო მეურნეობას, გლეხთა შორის მიწების კანონიერსა და ეროვნული მეურნეობის თვალსაზრისით სასარგებლო განაწილებას. ფეოდალური დროიდან დარჩენილი მსხვილი მაშულების წერილ საკუთრებად დანაწილების საჭიროებას. იგივე ეხებოდა ვაჭრობისა და განსაკუთრებით კი მრეწველობის საკითხებს, ქარხნის მუშათა კანონიერი და ჰუმანიური ინტერესების დაცვას. ის ქადაგებდა რომ ეს სასარგებლო იყო თვით მრეწველთაოვის და ამიტომ მათივე ზრუნვის საგნად სახავდა მუშათა კლასის მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. პატრონისა და მუშების შეგნებული თანამშრომლობა მიაჩნდა მას მრეწველობის აუც

ილებელ საჭირო ბაზად. ამიტომ მანვე დააყენა ქართულ პრესაში მუშათა დაინტერესების საკითხი სამრეწველო კაპიტალში წევრილი აქციების შეტანით და მოგება-წაგებაში მათი მონაწილეობისა.

ვასილ წერეთელი იყო ნამდვილი მოძღვარი ახლად დაარსებული ერ. დემ. პარტიის ახალგაზრდობისა, რომელიც ამ რევოლუციონურ ხანაში მოედო ქალაქებსა და სოფელებს ანტისოციალისტური და ნაციონალური იდეების გამარჯვებისათვის. ვასილ წერეთელი არ იყო შხოლოდ კაბინეტში ჩაეყეტილი ოფიციალური ის იყო ამავე დროს მისი იდეების საუკეთესო პროგანდისტი, ხალხის მასებთან უშუალოდ მოლაპარაკე და პრაქტიკული და მეტად აქტიური პოლიტიკური მოღვაწეც. როგორც პარტიის წარმომადგენელი ის მონაწილეობას ღებულობს საქალაქო თუ საერთო დაწესებულებებში. მისი როლისა და მის შვენელობის მიხედვით მას მეტი მოწინავე აღვილი ეკუთვნოდა პარტიულსა და ეროვნულ დაწესებულებებში, მაგრამ მისი დაუინტერესებელი და თავმდაბალი ბუნება მაღალი თანამდებობისაკენ არ მიისწარაფოდა.

საქართველოს თავისუფლების დაკარგვისა და პარტიის ფარულ მუშაობაში გადასცლის შემდეგაც განსვენებული ვასილი ახლოს იყო პარტიის მიერ ნაწარმოებ ეროვნულ ბრძოლებთან, მიუხედავად მისი ხნოვანებისა. ის შეუმჩნევლად ასრულებდა თავის როლს, იყო მუდამ მხნე და ახალგაზრდათა გამამხნევებელი, მუდამ იმედით აღვისილი და სხვისი მოიმდევ. და მან თავის სამშობლო მიწაზედ და მშობელი ცის ქვეშ კეთილი თვალები ისე დახუჭა და მის მარადიულ სულსაც ისე ღირსეულად გაეყარა, რომ მშობელმა მიწამ მისი ნაშთი გულში საონოებით ჩაიხურა და ჩვენს გულში მის კეთილ ხსოვნას სამარადისო ძეგლი აუგო. უცხო ქვეყნებში გადმოხვეწილნი მისი თანამაზრენი და იდეური მოწაფენი სპეციალის აზრით მუხლით ვიყრით ჩვენი სამშობლოს მიწაზედ გათხრილ საამაყო საფლავის წინაშე და ჩვენ გულთაგან და ბაგეთაგან გარდმოსული საგალობელის ხმით სამარადისო ხსოვნას მიუძღვნით ჩვენი სამშობლოს ცის ქვეშ მშეიდათ მონავარდე ძვირფასი ვასილის კეთილ სულს.

ელ. პატარიძე



## ჩართველთა მთლიანობისათვის

პირველ ჩემს წერილში ვწუხდი და ვჩიოდი ქართველ ემიგრაციის წინაშე ჩვენს ასე დანაწილება და დაქასქულობაზედ და მოუწოდებდი ყველა პატრიოტს და მამულიშვილს, რომ ახლო მომავალში ბოლო მოღებოდა ჩვენს ასეთ გათიშულ მდგომარეობას. ასეთმა გათიშულობამ, არამც თუ რაიმე სარგებლობა მოუტანა ან ემიგრაციას ან და სამშობ-

ლოს, არამედ პირიქით, ორთავენი დააზიანა მტრების სასარგებლოთ და გასახარებლად.

უკვე დროა, რომ ჩვენს მიერ წამხდარი საქმე, ჩვენ თვითონვე გამოვასწოროთ დაუყონებლივ. უკვე დროა თვალყური მოვიფეშვნიტოთ და უარყოთ ემიგრაციაში ვიწრო ჯგუფური და წვრილმან-პიროვნული პოლიტიკა და მით აღვკვეთოთ ემიგრაციის ასე დაქსაქსვა და დახურდავება. დროა დავფიქრდეთ: რა გვსურს, რისთვის ვართ აქ უცხოეთში ან რა გაგვიკეთებია საშობლოსათვის ამ ხნის განმავლობაში.

დიდი შეცდომა და გაუგებრობაა ჩვენი ერთომეორისაგან განხევე გადაღმა. ამას ბოლო უნდა მოელოს რაც შეიძლება ჩქარა, როგორც მემარცხენეთის მხრიდან, სამშობლოს ბედნიერებისათვის. უნდა მემარჯვენებმა დაპგმონ თავიანთი სიძულვილი, მემარცხენებისადმი და მემარცხენებმა მემარჯვენებისადმი. არც ერთს და არც მეორეს უპირატესობა განცალკევებით. უპირატესობა მხოლოდ შეერთებულსთ. ნურავის ნუ დაგვაკიშტება, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ ყოფილა თავისუფალი და გამარჯვებული მტერზედ, როდესაც ყველა ქართველობას, როგორც ერთ ადამიანს, ერთ სხეულს სამშობლო დაუცავს, ერთი აზრით და ერთი პოლოოტიკით. ჩვენ სამ მიზნიონ ქართველს, მხოლოდ ერთი მიზანი უნდა გვექნდეს და ამ მიზნისათვის ერთი მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ, რათა ისე დავტკეპნოთ ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა, რომ მასზედ ბალახი აღარ ამოვიდეს მომავლში.

ჩვენი შეერთება და შეკავშირება მოგვცემს ერთ ეროვნულ ძალას რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს. მტერს დააფიქრებს და მოყვარეს კი ჩვენდამი დახმარებას გაუადვილებს. ყველანი კარგათ ვხედავთ, რომ ყველაფერი ჩვენს ირგვლივ სწრაფად იცვლება, გარდამწყვეტი ბრძოლის დრო გვახსლოვდება და ეს გვავალებს ჩვენც უარყოთ წვრილმანი ჯგუფური თუ პირადი ანგარიშები და გავერთიანდეთ. მით უმეტეს, ამის ნიადაგი მომწიფებულია ბამატის ოჩების შემდეგ, რამაც ყველა ქართველის გულისწყრომა გამოიწვია. ეს მისა მაჩვენებელია, რომ ჩვენი გაერთიანება შესაძლებელია და ძალიან საჭიროც.

ჩვენი შეერთება, რომ საჭიროა ამას ყველა ვხედავთ, ვინაიდგან გასაკეთებელი თვით ადგილობრივ, ემიგრაციაშიც კი ბევრია: 17 წლის შემდეგ ერთ მოგვიხერხებია ერთი საერთო თავმოსაყრელი ადგილი, ერთ სკოლა ბავშვებისათვის, ერთ ცენტრი არის სხვა. და ეს სულ იმიტომ, რომ დანაწილებულნი ვართ და ერთომეორის დასაცავი და კინკლაბას უნდებით.

ქართულ ძალების გაერთიანების საჭიროებას განსაკუთრებით უნდა გრძნობდეს ახალგაზრდობა. მასვე შეუძლიან ამ საქმის ინიციატივა და ბევრი რამის გაეთხება ამ მხრივ, ვინაიდან ის არ არის დამძიმებული წარტული და პირადული ხასიათის უთანხმოებებით. სწორედ ამ ახალგაზრდობის მოვალეობაა შუამავლის როლში გამოსცალა და პარტიულ-ჯგუფური თუ პირადი უთანხმოების ნიადაგზედ ერთ-

თა მეორისაგან გათიშული უფროსი პოლიტიკური მოღვაწეების მორიგება-შეთანხმება, რაც აუცილებელია, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერისათვის-

დღეს მაინც ხომ საქმაოდ ნათელია ის მეტად მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება, მუდამ ტანჯული ჩვენი ერი და სამშობლო. ვინ იცის, რომ მას კიდევ უარესი არ მოელის? მოდი ამის შემდეგ, მა-მულიშვილნო, თვალებს ნუ გავახელოთ და ამის მაყურებელნი გულით და სულით ერთად ნუ ვიქებით!

ჩვენი ერის ასეთი მძიმე მდგომარეობა გვავალებს ყოველგვარ უთ-ანხმოებათა დაგმობას და სამშობლოს განთავისუფლების იდეის ირგვლივ დაუყონებლივ გაერთიანებას. „ვისაც ჭირი უნახამს, წამალიც იმას მოჰკითხეთ“. ჭირი ბევრი ვნახეთ და სამისო წამალიც ჩვენევ მოგვეთხოვება. ყველა ჩვენგანი მოვალეა მოიხადოს სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავისი მოვალეობა და ამ მოვალეობათაგან უპირ-ველესი მოვალეობაა ჩვენი მთლიანობისა და ერთობისათვის მუშაობა.

ჩვენი ეროვნული ძალების გაერთიანების საკითხი მეტად მომწიფებულია. დღეს ამ ჩვენს დაშლილობას მოსთქვამენ და საერთო ენისა და გზის გამონახვის საჭიროებას აშკარად აღიარებენ და მორიგ საკითხად აყენებენ ის წრეებიც კი, რომელნიც დღემდე ამ მთლიანობის იდეას და მის პრაქტიკულს განხორციელებას ებრძოდნენ. სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს. ამდენი მწარე გამოცდილების შემდეგ მაინც საბოლაოდ უნდა „შევიგნოთ, რომ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა და ეროვნული დამოუკიდებელი არსებობა მოითხოვს ეროვნულ ძალას ერთობასა და მორიგებას.

დრო დადგა რომ ასეთ მძიმე, მაგრამ მასთან იმედის ამღვდერელ დროსა და ვითარებაში ყველა ქართველმა ხმა მალივ და ერთხმათ წამოვიდახოთ: ეროვნული ერთობა, ეროვნული შემტკიცება, ყველა ქართველი სამშობლოსათვის და სამშობლო ყველა ქართველისათვის.

ბაგ. სამხარადე



### პასუხი პ. პ. ეგუავარს და პიაპიშვილს

ბამატის „კავკასია“ ამ უკანასკნელ დროს ჭორებითა და ბოროტი ინსინუაციებით აღსავსე წერილებს ათავსებს ჩვენი გამოცემათა და ბ. ალ. ასათიანის შესახებ.

ბ-ნი ალ. ასათიანი თვითონვე უპასუხებს ამ ვაჟბატონებს, თუ ის საჭიროდ მიიჩნევს, მაგრამ „კავკასიის“ „ბრალდებათა“ უმთავრესი საგანია ჩვენი ორგანიზაციების შარზანდელ ყრილობაზე აღძრული კითხვები, და ეს კი, უპირველესად ყოვლისა, შემეხება მე, ვინაიდან განლილ ამ ყრილობის დრიკვი და მისი ანგარიშების შემდგენი. როგორც ასეთი, ვარ სრული პასუხისმგებელი მათი შინაარსისა.

ბ. ბ. ემუხვართან და ჭიაბრიშვილთან რაიმე კამათის სურვილი არ მაქვს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ კამათი ნაყოფიერია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სწარმოებს ისეთ ადამიანთან, რომელიც რა იმე საკითხში ვერ ერკვევა ან სცდება, და არა ისეთთან, რომელიც უტიფრად უარყოფს ას კაცში, საჯაროდ ნათქვამს და შეგნებულად სიმართლეს ამახინჯებს.

იძულებული ვეცდები პასუხი გავსცე ბ. ბ. ემუხვარსა და ჭიაბრიშვილს, რადგან მიმაჩნია ჩემს მოვალეობად მათი ინსიტუციების გაბათილება, რათა ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე ზემოდმოსხენებულ საგანზე.

პასუხი, შიშველი ფაქტებით და არა ჩემი უფროსებისა და შეგობრების ხოტბის მიზნით, რაც ახასიათებს „კავეაზის“ თანამშრომლებს და რაც სრულებით არ ეგუება ჩვენი წრისა და მისი ორგანოს ბუნებას.

### ბატონ ემუხვარს.

1. თქვენ ბრალს სდებთ ბ. ალ. ასათიანს, რომ ვითომც იგი ჩვენს ყრილობას „მთელი პარტიის ყრილობად აცხადებს.“ თუ თქვენ ვერ გაიგეთ ყრილობაზე მოსმენილი სიტყვები „სამშობლოში“ დაბეჭდილი მოკლე ანგარიში მანცც უნდა გაგერკვიათ. იქ ნათლად არის აღნიშნული თუ ესის ყრილობა იყო ის და მას რასაკვირკველია არ ეწოდებოდა მთელი პარტიის ყრილობა და არც ვინმეს გაუსაღებია ასეთად.

2. თქვენ გვისაყველურებთ, რომ „პროტოკოლები“ წესისამებრ არ დამტკიცებულა და თქვენ მაზედ ხელი არ მოვიწერიათ. — მოვახსენებთ, რომ ოქმები შესდგა და დამტკიცდა საყოველთაოდ შილებული წესის მიხედვით და თქვენც ორჯერაც მოაწერეთ ხელი — ერთი ყრილობის მდივანთან და შეორე ყრილობის თანამჯდომარის წინ საგანგებო ხელწერილზე, მდგრამ, როგორც ქვევით დავინახვთ, თქვენ არასოდეს გახსოვთ რას სწერთ და რა ვალდებულებას აწერთ ხელს.

3. თქვენი მტკიცება შესახებ იმისა, რომ ყრილობაზე არ იყენებ მოწვეულნი სხვა ეროვნულ - დემოკრატები, გარდა ჩვენი ფრაქციის წევრებისა, მტკნარი სიცრუა. და ეს თვით თქვენც კარგათ იცით, რადგან ერთ ასეთ უკანასკნელ მოწვევაში პირადათ მიიღეთ მონაწილეობა.

ყრილობის უმთავრესი დანიშნულება იყო პარტიის ოცი წლის თვეის აღნიშვნა და არა შინაური, ფრაქციათა შორის არსებული დავის საკითხების გადაწყვეტა.

4. ჩვენ არ მივიჩიეთ მიზანშეწონილათ ყრილობის ოქმის ანუ როგორც თქვენ უწოდებთ „პროტოკოლის“ დაბეჭდვა და მოვათავსეთ მხოლოდ მისი მოკლე ანგარიში, რადგან ყრილობაზე ნათლად იყო აღნარებული, თუ რატომ არ დაიბეჭდებოდა მთლიანად მისი ოქმები. ასევე ნათლად არის აღნიშნული უკრ. „სამშობლო“-ში მოთავსებულ მოკლე ანგარიშშიდაც, სადაც შავით თეთრზე სწერია „კონფერენციაზე წაკა-

თხული მოხსენებანი და მათი განხილვის ოქმი ამ უმაღად არ დაიბეჭდება; ჩვენ აქ მხოლოდ მოკლეთ აღვნენსხავთ უმთავრეს მომენტებს" თ.

თქვენ კადნიერდებით და სცდილობით დაამტკიცოთ, რომ ამ მოკლე ანგარიშში თქვენ მოგაწერეს სიტუაციი, შესახებ ბამატისა და მისი "კავკაზი"-სა, რომელიც თქვენ არ გითქვათ.

თქვენ გავიწყდებათ ბატონობრივი ემუხვარო, რომ თქვენი სიტუაციი და ბამატის დახასიათება წარმოთქმულ იქმნა არა მარტო ყრილობის წინაშე, არამედ თვით სახეიმი სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ სხვა და სხვა დაჯგუფებათა წარმომადგენელი და ჩენ მზად ვართ, როდესაც გენებებათ, გამოვაქვეყნოთ ამ დამსწრეთა დამოწმებული, თქვენი დაფასება ბ. ბამატისა.

5. ჩენ შეგვიძლიან, გარდა ზემოთ აღნიშნული საბუთებისა, წარმოგიდგინოთ აგრეთვე თვით თქვენივე ხელით, ყრილობის შემდეგ, დაწერილი საბუთები. თქვენ აღიარებთ თქვენ წერილში, რომ ბამატი იყო დაპლომატიური მრჩეველი იმ ჯაფუისა, რომელიც აბხაზეთში მუშაობდა, სულთანის ოსმალეთის აგნენტების ხელმძღვანელობით.

ყრილობის პრეზიდუმის ერთი წევრისათვის მოწერილ წერილში, უკვე „კავკაზი“-ს თანამშრომლად განცომის შენდეგ, თქვენ ადასტურებთ ყრველივეს რაც წარმოსთვით ყრილობაზე, ბამატის შესახებ და მის წარსულ მავნე მოლვაწეობაზე და დაასკვნით: „მე კონფერენციაზე აღვნიშვნ უტყუარი ფაქტები, რომ ბამატი საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდა“.

ჩვენ ყრილობაზე თქვენ ბ-ნ ემუხვარო ამტკიცებდით, რომ თქვენ, როგორც საქართველოს რწმუნებული გაშმავებით ებრძოდით აბხაზთა დიდ მოლვაწეობან ერთად ოსმალთა აგენტებს, რომელთა ფარულ ხელმძღვანელათ დახასიათეთ ბამატი. დღეს კი, ბამატის ორგანოში გვიმტკიცებთ: „მე სრულებით არ დავინტერესებულვარ იმ დროს ბამატის შეშაობითო“.

ძლიერ კარგი წარმომადგენელი ბრძანებულხართ საქართველოსი, შეტი არ შეიძლება. ახლა აღარ არის გასაკვირი, რომ თქვენი წარსულის ასე გამასხარავების შემდეგ, ბამატის ორგანოში, თავის შერტვენას, ასე გვიხასიათებთ.

— „მე იქ წერილი დავსტამბე აკადემიურ თემაზე, რომელიც სხვაგან არ დამტკიცეს“ და „მე ვცდილობ ბამატის ორგანოში კულტურულ მუშაობასა.“ დღემდე „კავკაზში“ თქვენს მიერ გამოქვეყნებული წერილები არც მეცნიერულია და არც კულტურული და თუ თქვენ ეს ასე არ გვონიათ, მაშინ მისი ავტორის მეცნიერობა მართლაც რომ სპეციალისტი ხასიათისა ყოფილა.

6. კიდევ უფრო დამახასიათებელია, ბ. ემუხვარო, თქვენი მორალური ფიზიონომის გამოსაცნობად, თქვენი წერილის ის ნაწილი, საღაცე თქვენ თავს ესხმით ბატონ ალ ასათიანს, მისი საქართველოს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან და მათ შორის სოციალ - დემოკრატებთან კოალიციაში ყოფნის გამო. იმ კოალიციაში, რომელიც დამჟარებულია

საქართველოს დაპყრობის პირველ თვეებიდანვე და განბანილია ამდენი ბრძოლითა და ერთად დაღვრილი სისხლით,

ამ საგანზე თქვენ ბ-ნო ემუხვარო, ჩევნს კონფერენციას შემდეგი ფორმულა წამოუყენეთ:

